სახვითი ხელოვნება

სახელმძღვანელო

6

AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi ***Üzeyir Hacıbəylinin,***
sözləri ***Əhməd Cavadındır.***

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

სახვითი ხელოვნება

ქამალა ჯაფარზადე
ეგანა ჯალილოვა
მეხსეთი მამედოვა
თალე მელიქი

6

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-6 კლასისათვის სახვითი ხელოვნების საგნის
სახელმძღვანელო

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ bn@bakineshr.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

B A K I N Ə Ş R
ბაქო – 2017

6 სახვითი ხელოვნება

სარჩევი

1 სახვითი ხელოვნების ტიპები

გრაფიკა

1. ადამიანი და სახვითი ხელოვნება 8
2. ნახატი – სახვითი ხელოვნების საფუძველი 11
3. ხაზი ნახატში და მისი გამომსახველობითი შესაძლებლობები 14
4. ბეჭდური გრაფიკის სახეები 17
5. რეალობა და ფანტაზია მხატვრის შემოქმედებაში 20

ფერწერა

6. ძველი სამყაროს ფერწერა. 23
7. სპექტრი და ფერთა ბორბალი 26
8. ფერი ფერწერის ქმნილებებში 29
9. მინიატურული ფერწერა 32

ქანდაკება

10. ქანდაკების ნაირსახეობები 36
11. მასალა და გამოსახულება ქანდაკებაში 39

2 ძველი სამყაროს არქიტექტურა

12. ფორმა და კონსტრუქცია ნაგებობებში 44
13. აღმოსავლური ხუროთმოძღვრების დიდი ქმნილებები 48
14. ორნამენტული ხელოვნება არქიტექტურაში 51
15. ძველი სვეტების ბუნებრივი ფორმები 56

3 ჟანრები სახვით ხელოვნებაში

16. მხატვრული ქმნილებების თემატიკა 62
17. ადამიანის გამოსახულება მხატვრის შემოქმედებაში 64
18. სინაზისა და გულმოწყალების სიმბოლო. 67
19. საგნობრივი სამყარო 70
20. ბუნების მოტივები 73

4 დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სახეები

21. ძველი სამყაროს კერამიკა 78
22. კერამიკული ლარნაკწერა 81
23. მეტალის მხატვრული დამუშავება 84
24. საიუველირო ხელოვნება 88
25. მსოფლიო სახვითი ხელოვნების საგანძური 92

ᲕᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲐ

დიალოგები ხელოვნებაზე. კითხვები, ნახატები და ცნებები, რომლებიც, მიღებული ცოდნის საფუძველზე, ახალი თემის მიზანს აერთიანებს.

თეორიული მასალა. ტექსტი, განხილვისა და დამოუკიდებლად კითხვისათვის.

დიდი შემოქმედები. აზერბაიჯანისა და მსოფლიოს გამოჩენილ შემოქმედთა ხელოვნების გაცნობა.



სამხატვრო გალერეა. აზერბაიჯანისა და მსოფლიოს გრაფიკის, ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშების გაცნობა.



კითხვები-განხილვები. კითხვები ფიქრის, დისკუსიის, თეორიული მასალის ანალიზისათვის.

დაიმახსოვრე. მნიშვნელოვანი ინფორმაცია, პრაქტიკული შემოქმედებითი დავალებების შესრულებისათვის აუცილებელი წესები.



1. დიალოგები ხელოვნებაზე. კითხვები, ნახატები და ცნებები, რომლებიც, მიღებული ცოდნის საფუძველზე, ახალი თემის მიზანს აერთიანებს.
2. თეორიული მასალა. ტექსტი, განხილვისა და დამოუკიდებლად კითხვისათვის.
3. დიდი შემოქმედები. აზერბაიჯანისა და მსოფლიოს გამოჩენილ შემოქმედთა ხელოვნების გაცნობა.
4. სამხატვრო გალერეა. აზერბაიჯანისა და მსოფლიოს გრაფიკის, ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშების გაცნობა.
5. კითხვები-განხილვები. კითხვები ფიქრის, დისკუსიის, თეორიული მასალის ანალიზისათვის.
6. ეს საინტერესოა. საინტერესო ფაქტები და მოვლენები თვალსაწიერის გასაფართოებლად.
7. დაიმახსოვრე! მნიშვნელოვანი ინფორმაცია, პრაქტიკული შემოქმედებითი დავალებების შესრულებისათვის აუცილებელი წესები.
8. გამოიყენე ნასწავლი. თემასთან დაკავშირებული ახალი ცოდნისა და უნარების გამყარებისა და გამოყენებისათვის განკუთვნილი დავალებები.
9. საკვანძო სიტყვები. თემასთან დაკავშირებული ახალი ცნებები და ტერმინები.
10. შეამოწმე შენი თავი. საკვანძო სიტყვების გამოყენებით შედგენილი თემატური წინადადებები.
11. შეამოწმე ნასწავლი. კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი შეფასებისათვის.

გვ. 7-42

სახვითი ხელოვნების დარგები

გრაფიკა

1. ადამიანი და სახვითი ხელოვნება
2. ნახატი – სახვითი ხელოვნების საფუძველი
3. ხაზი ნახატში და მისი გამომსახველობითი შესაძლებლობები
4. ბეჭდური გრაფიკის სახეები
5. რეალობა და ფანტაზია მხატვრის შემოქმედებაში

ფერწერა

6. ძველი სამყაროს ფერწერა
7. სპექტრი და ფერთა ბორბალი
8. ფერი ფერწერის ქმნილებებში
9. მინიატურული ფერწერა

ქანდაკება

10. ქანდაკების ნაირსახეობები
11. მასალა და გამოსახულება ქანდაკებაში

1

1. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲕᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ

- როდის დაიწყო ადამიანმა ხატვა, თიხისაგან ძერწვა და თავშე-საფრის შენება? რა ეწოდება ამ სახის საქმიანობებს?

სახვითი ხელოვნება... რამდენად ხშირად ვხვდებით მას, რა ადგილს იკავებს იგი ჩვენს ცხოვრებაში?

სახვითი ხელოვნების ნიმუშებს შემოქმედი ქმნის. მის შრომას, როდესაც ხელოვნების ნაწარმოებს ქმნის, **ხელოვანი** ეწოდება.

შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანის დროს გაჩნდა, მრავალფეროვანია და ამ მრავალფეროვნებას სახვითი ხელოვნების დარგები ეწოდება.

გრაფიკა მაშინ გაჩნდა, როცა კლდეებზე მურითა და ნახშირით დაიწყეს ხატვა.

ფერწერა – როცა მღვიმეების კედლების მოხატვას შეუდგნენ.

ქანდაკება – როცა ფიგურებს ქვისაგან კვეთდნენ ან თიხისაგან ძერწავდნენ.

პირველყოფილი ადამიანის დროს გაჩენილი სახვითი ხელოვნების ტიპები

გრაფიკა



ფერწერა

ქანდაკება

დაიმახსოვრე. სახვითი ხელოვნების ყველა დარგს გამოსახვისა და გამოხატვის თავისი ხერხები აქვს: ფერწერას – ფერი, კოლორიტი; გრაფიკას – ხაზები, შტრიხები, ლაქები; ქანდაკებას – მოცულობითი ფორმები.

არქიტექტურა დასაბამს ჯერ კიდევ იმ დროიდან იღებს, როცა ცეცხლის დასანთები და უამინდობისას თავშესაფარი ადგილის შენება დაიწყეს.

დაიმახსოვრე. შენობის მხატვრულ სახეს არქიტექტორი ყოველთვის უფარდებს მის დანიშნულებას, ფუნქციას, მასალის გამომსახველობით თვისებებს, კონსტრუქციის ლოგიკას. კონსტრუირებისას მთავარი გამომსახველობითი ხერხებია: ფორმა, მოცულობა, სივრცე, პროპორციები, რიტმი, ფაქტურა და ა. შ.

დეკორატიული ხელოვნება მაშინ გაჩნდა, როცა ქვაზე ორნამენ-ტ-ების ჭრა, თიხის ჭურჭლის დამზა-დება, მისი მოხატვა და ფერადი ქვებისაგან მძივების კეთება დაი-წყეს.

დაიმახსოვრე. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება კლასიფიცირდება **მასალის** – მეტალი, თიხა, შუშა, ტექსტილი, ხე და ა. შ. – და **ტექნოლოგიების** (მუშაობის ხერხების) – მოხატვა, ჭრა, თეგვა, ჩამოსხმა, ქარგვა და ა. შ. – მიხედვით.

სამხატვრო გალერეა

სახვითი ხელოვნების დარგები

- სახვითი ხელოვნების რომელი დარგებია აქ წარმოდგენილი? გამომსახველობის რა ხერხებით განსხვავდება ისინი?

თ. მამედოვი, ი. ზეინალოვი.
„ნასიმი“

მ. რაჰმანზადე.
„ცეკვა“



თ. ნარიმანბეკოვი.
„მძინარე ასმარი“

არქიტექტურა

იცი თუ არა, რა ეწოდება არქიტექტურის ამ ძეგლებს? ისაუბრე მათ ფორმაზე.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

რა მასალისაგან და რა ხერხებით არის დამზადებული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები?

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (მასალის არჩევა სურვილისამებრ).

1. დაფიქრდი და დახატე, სად გხვდება სახვითი ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში?
2. წარმოადგინე სახვითი ხელოვნების დარგები სქემის ან ცხრილის სახით. ცხრილში, თითოეული დარგისათვის, ნიმუში ჩახატე.

შეამოწმე შენი თავი

სახვითი ხელოვნების დარგებია..., ... და ... რომლებიც უძველეს დროში გაჩნდა. მღვიმეები, კოშკები, ტაძრები წარმოადგენს ... ძველ ნიმუშებს, რომელიც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი დარგია. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ისეთი ნიმუშები, როგორებიცაა ..., ... ყოველ-დღიურობაში

საკვანძო სიტყვები
გრაფიკა
ფერწერა
ქანდაკება
არქიტექტურა კერამიკა
სპილენძის დამუშავება

შეამოწმე ნასწავლი

1. ჩამოთვალე სახვითი ხელოვნების დარგები. როგორ განსხვავდებიან ისინი, დანიშნულების მიხედვით, ადამიანის ყოფაცხოვრებაში?
2. სად გხვდება ხოლმე სახვითი ხელოვნების ნიმუშები?

2. ნახატი – სახვითი ხელოვნების საფუძველი

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება გრაფიკული მასალით – ფანქრით, ნახშირით, კალმით ან ტუშით – შექმნილ გამოსახულებებს?

გამოსახულებას, რომელიც გრაფიკული მასალით – უმეტესად ფანქრით, ნახშირით, კალმით ან ტუშით – იქმნება, **ნახატი** ეწოდება. ამასთანავე, ყველა მხატვრულ ნახატს **გრაფიკული ნამუშევარი** ეწოდება. ნახატი მხატვრის შემოქმედების საფუძველია. მოქანდაკის, ფერმწერისა თუ არქიტექტორისათვის ნახატი აუცილებელია, რო-გორც სწავლის პროცესში, ასევე ნამუშევრის შექმნისას. ნახატის სხვა-დასხვა სახეები არსებობს.

ჩანახატი – ძალიან სწრაფად, მოკლე დროში შექმნილი ნახატია. ჩანახატში მხატვარი ესწრაფვის ასახოს იმ ჩანაფიქრის პლასტიკური გადაწყვეტა, რომელიც ნატურაში დანახულს ეფუძნება. ოსტატების ასეთი ჩანახატები იმდენად გამომსახველობითია ხოლმე, რომ მათ ინახავენ, როგორც ხელოვნების ნიმუშებს.

ესკიზი – წინასწარი ნახატი, რომელიც მხატვრული ნამუშევრის ჩანაფიქრს აფიქსირებს. ესკიზებში მონიშნულია მომავალი ქმნილების კომპოზიციური წყობა, სივრცე, პლანები, ფერების ძირითადი თანაფარდობა.

ლეონარდო და ვინჩის გრაფიკული ნახატები

„მჯდომარე მოხუცი“. ჩანახატი. კალამი, მელანი, ქაღალდი

„ხელები“. ესკიზი. ვერცხლისფერი და თეთრი ფანქარი, ვარდისფერი ქაღალდი

ესკიზი – ფრანგული სიტყვიდან „esquisse“. ინგლისურად ესკიზს „sketch“ ეწოდება.

სასწავლო ნახატის მიზანია გამოსახვის წესების, სახვითი ენის საფუძვლების ათვისება. ამიტომ სხვადასხვა ადამიანის მიერ შექმნილი სასწავლო ნახატები ერთმანეთს ჰგავს ხოლმე.

ქალღმერთი დიანა. თაბაშირის თავი. სასწავლო ნახატი

შემოქმედებითი ნახატი მხატვრის მიერ წინასწარ შეძენილი ცოდნისა და უნარე-ბის საფუძველზე იქმნება. ამ შემთხვევაში ჭარბობს შემოქმედებითი პროცესი, რომლის მთავარი მიზანია მხატვრული სახის შექმნა. შემოქმედებითი ნახატი გარკვეული ჩანაფიქრის, იდეის ხორც-შესხმას წარმოადგენს.

მიქელანჯელო. „ადამიანის ფუგურა“. შემოქმედებითი ნახატი

ტექნიკური ნახატი სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათისაა. მისი მიზანია შეგვიქმნას თვალსაჩინო წარმოდგენა და მოგვაწოდოს კონკრეტული ცნობები საგნებ-ზე, მანქანებ-ზე, მექანიზმებზე, აპარა-ტებზე, მათ ნაწილებსა და დეტალებზე.



ლეონარდო და ვინჩი. „მექანიზმები“. ტექნიკური ნახატი

? რით განსხვავდება ნახატის სხვადასხვა სახეები?

დანახვისა და ხატვის უნარები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ხატვის შესასწავლად საჭიროა, დანახვა ვისწავლოთ. ხატვა **თვალიერების ეტაპით** იწყება.

დაიმახსოვრე. ხატვის დასაუფლებლად აუცილებელია ისწავლო დანახვა! დანახვის სწავლა ნიშნავს, ისწავლო განსაკუთრებულად აზროვნება და გამოსახვა!

გამოიყენე ნასწავლი

დავალების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (უბრალო ფანქრები, გელის კალამი, პასტელის ცარცები)

1. შეასრულე ნატურიდან ბუნებრივი ობიექტების ჩანახატები და ესკიზები (ყვავილები, ბალახი, კენკრა, ფოთლები, გირჩები).
2. შეასრულე ნატურიდან ნებისმიერი საგნების ჩანახატები ან ესკიზები. იპოვე ობიექტების ზუსტი ფორმა, ძირითადი ნაწილების სიდიდეთა თანაფარდობა, საგნის დამახასიათებელი ნიშნები.

ნატურიდან შესრულებული ჩანახატებისა და ესკიზების ნიმუშები

შეამოწმე შენი თავი

... გრაფიკული მასალით შესრულებული გამოსახულებაა. არსებობს ნახატის სხვადასხვა სახეები ..., ..., ..., და ა. შ.

საკვანძო სიტყვები
ჩანახატი
ესკიზი
ნახატი
სასწავლო ნახატი

შეამოწმე ნასწავლი

1. დაასახელე გრაფიკული მასალები. ახსენი მათი მსგავსება და განსხვავება.
2. რა კავშირია ცნებებს შორის „ხედვის უნარი“, „ხატვა“, „აზროვნება“?

3. ხაზი ნახატში და მისი გამომსახველობითი შესაძლებლობები

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება ერთ-ერთ მთავარ გამომსახველობით ხერხს გრაფიკაში, რომელიც ხასიათის მრავალმხრივობით გამოირჩევა?

ფანქრით ან კალმით შესრულებული ნახატი, ძირითადად, ცალკეული ხაზებისაგან შედგება. სახვით ხელოვნებაში **ხაზს** „გრაფიკის ენას“ უწოდებენ. ყველა ხაზი განსხვავებული ხასიათისაა. ნახატში ისინი მხატვრის მიერ ჩაფიქრებულ გამოსახულებას გადმოსცემენ. მაყურებელი ხაზებს სიმბოლოებად აღიქვამს.

სამხატვრო გალერეა

ხაზის გამომსახველობითი შესაძლებლობები
დიდი მხატვრის ქმნილებაში
ვინსენტ ვან გოგი. „პეიზაჟი“

ა ზეაღმავალი, ვერტიკალური ხაზები ქმნის სიმაღლის, ზრდის, ფრენისა და ჰაეროვნების შთაბეჭდილებას.

ბ ეკლიანი ბუჩქები გამოსახულია მახვილი, წყვეტილი ხაზებით.

გ დიაგონალური ხაზები ქმნის მოძრაობის ან მიმართულების განცდას, აცოცხლებს გამოსახულებას.

დ ჰორიზონტალური ხაზები ქმნის სიმშვიდისა და დასვენების განცდას.

ხაზით მონიშნავენ ხოლმე საგნის **კონტურს,** მის კიდეს, სინამდვილეში არარსებულ საზღვარს. არსობრივად, ხაზი გამოსახულებაში ნიშანს წარმოადგენს, იგი პირობითია, მოფიქრებულია ფორმის აღსანიშნად. ასოებიც ხომ ხაზებია. მხატვარს, რომელიც ხაზის მეშვეობით ხატავს, ისევე, როგორც ადამიანს, რომელიც წერს, თავისი ხელწერა აქვს – საგნის კონტურის გამოყვანის თავისი მანერა. ეს ხელწერა შეიძლება იყოს მკაცრი, მოქნილი, ენერგიული ან მსუბუქი, მშვიდი. ხაზი სახვით ხელოვნებაში

გამოსახვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მხატვრის ხელი ხაზს აცოცხლებს – ის ხან ვიწროვდება, ხან ფართოვდება, ხან მკვეთრი, სისხლსავსე ხდება, ხანაც მსუბუქი, მქრქალი, ხან ეკლოვანი, ხანაც ფაფუკი. მნიშვნელობა არ აქვს, რა ინსტრუმენტითა და მასალითაა გავლებული ხაზი, ნახატში მთავარია რა და როგორაა დახატული.

ხაზის ხასიათი მხატვრის გრძნობებს გამოხატავს.

ხაზი ნაწერში

სამხატვრო გალერეა

? რას გამოხატავს ხაზი მხატვრების ნამუშევრებში?

პაბლო პიკასო.
„მშვიდობის მტრედი“

მარალ რაჰმანზადე. „ჯულფა“

ანრი მატისი.
„ქალის პორტრეტი“

ვასილი კანდინსკი. „კომპოზიცია“

კონტური – შეკრული ხაზი, რომელიმე გეომეტრიული ფიგურის, საგნის მოხაზულობა.

რიტმი – ხაზების, ლაქების, მოცულობების მონაცვლეობა ან განმეორება.

ხაზი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში

ხაზი ბუნებაში

ხაზი არქიტექტურასა და ინტერიერში

? დაფიქრდი და ახსენი, როგორაა გამოხატული ხაზი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში, ბუნებასა და არქიტექტურაში?

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (უბრალო ფანქარი, გელის კალამი, პასტელის ცარცები).

1. სცადე მხატვრების გამოცდილების გამეორება. გამოსახე მცენარეები, ცხოველები და ადამიანები სულ რამდენიმე ხაზით. ეცადე, რომ ხაზები – სადაც ჩანაფიქრი საჭიროებს – იყოს ნარნარი, მოძრავი, სხვაგან კი – მახვილი, წყვეტილი, დაკუთხული. დაე, ხაზები ხან გაფართოვდეს, ხან კი დავიწროვდეს. შეგიძლია, ბუნების სიმშვიდე ასახო და ლამაზი გრაფიკული, ორნამენტებიანი ნახატი შექმნა. მაგლითად:

2. გამოსახე, როგორ ქანაობს ხე ქარში. ყველა ტოტისა და ფოთლის დახატვა საჭირო არაა, ქარში ხომ მათ გარჩევას ვერ შეძლებ. გამოსახვის მთავარი ხერხი აქ ხაზების რიტმია.
3. გამოსახე ქაღალდზე რისხვა და სიხარული. არ დახატო არავითარი საგანი, არაფერი კონკრეტული. ხატე მხოლოდ ხაზები, მონასმები, შტრიხები.

შეამოწმე შენი თავი

... სახვით ხელოვნებაში გამოსახვის ერთ-ერთი ძირითადი ხერხია. ხაზით აღინიშნება საგნის ... ყველა ხაზს თავისი ... აქვს.

საკვანძო სიტყვები
ხაზი
ხასიათი
კონტური

შეამოწმე ნასწავლი

1. რა არის ხაზი? ხაზების რა ნაირსახეობები არსებობს?
2. ცხოვრებაში სად გხვდება ხოლმე ხაზები? დაასახელე მაგალითები.

4. ბეჭდური გრაფიკის სახეები

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა შეიძლება ეწოდოს პირველყოფილი ადამიანის საქმიანობას, როდესაც ის წამახული საგნით კაწრავდა გამოსახულებებს ძვლებზე, ქვებზე ან მღვიმის კედლებზე?

ტრადიციული გრაფიკული ნახატის საწყისები შეიძლება კლდეებზე შესრულებულ პირველყოფილ გამოსახულებებში ვნახოთ. **გრაფიკა** სახვითი ხელოვნების ყველაზე ძველი ტიპია. ხელოვნების ნიმუშებში რამდენიმე გრაფიკული ტექნიკა გამოიყენება. ტექნიკის მიხედვით გრაფიკა ორად იყოფა.

გრაფიკის ტიპები

- ქაღალდზე შესრულებული ნახატი
- ბეჭდური გრაფიკა

ნახატი იხატება ფანქრით, ნახშირით, ფლომასტერით, როგორც წესი, ქაღალდზე და მხოლოდ ერთ ეგზემპლარად. ბეჭდურ გრაფიკას ნახატისაგან განასხვავებს ნამუშევრის მრავალი, მსგავსი ხარისხის ეგზემპლარის მიღების შესაძლებლობა. ამ გზით მიღებულ გამოსახულებას **გრავიურა** ეწოდება. გრავიურებს განეკუთვნება მეტალზე, ხეზე, ქვაზე ამოჭრილი ნახატები. ბეჭდური გრაფიკის საფუძველზე წარმოიშვა განსხვავებული ტექნიკები, რომლებიც გრაფიკული ნახატის მასალაზეა დამოკიდებული.

გრავიურის სახეები და შესრულების ტიპები

ოფორტი	ლითოგრაფია	ქსილოგრაფია	ლინოგრავიურა
ქიმიური გრავირება მეტალზე	ქვაზე გრავირება	ხეზე გრავირება	ლინოლეუმზე კვეთა
ფრანგული „eau-forte“-დან – „მაგარი წყალი“. ანაბეჭდი მეტალის ფირფიტიდან.	ბერძნული „lito“-დან – ქვა. ანაბეჭდი ლითოგრაფიული ქვიდან.	ბერძნული „ksilo“-დან – ხე. ანაბეჭდი ხის დაფიდან.	ბერძნული „lino“-დან – ლინოლეუმი. ანაბეჭდი ლინოლეუმის ზედაპირიდან.

გრავიურის უდიდესი ოსტატი იყო გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი ალბრეხტ დიურერი.

დიდი შემოქმედები

ალბრეხტ დიურერი (1471-1528)

დაიბადა ნიურნბერგში, ოქრომჭედლის ოჯახში. თავდაპირველი წარმოდგენა გრავიურების შექმნაზე დიურერმა მამისაგან მიიღო. შემდგომში მან შეისწავლა გრავიურების სპილენძსა და ხეზე შექმნის ტექნიკები.

„ავტოპორტრეტი“

თხუთმეტი წლისა ვოლგემუტის სახელოსნოში შევიდა, სადაც შეგირდად ყოფნისას განაგრძო გრავიურების სპილენძსა და ხეზე შექმნის ტექნიკების შესწავლა.

ურთულესი ფილოსოფიური შინაარსით გამოირჩევა ა. დიურერის სამი გრავიურა: „მხედარი, სიკვდილი და ეშმაკი“ (1513), „მელანქოლია“ (1514), „წმინდა იერონიმუსი“ (1514).

სამხატვრო გალერეა

ხაზი, ფორმა და მოცულობა ალბრეხტ დიურერის გრავიურებში

„მელანქოლია“*. ქსილოგრაფია

„წმინდა იერონიმუსი სენაკში“. ქსილოგრაფია

? რა გამომსახველობითი ხერხები გამოიყენა მხატვარმა გრავიურების შექმნისას?

ამ გრავიურებით იხსნება დიურერის – მსოფლიო ხელოვნებაში გრავიურის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატის – გრაფიკული ნამუშევრების ბრწყინვალე პლეადა. მხატვარი ახლა თავისუფლად ფლობს საჭრისს და იყენებს მახვილ, კუთხოვან, ნერვიულ შტრიხს, რომლის მეშვეობითაც იქმნება კლაკნილი, დაძაბული კონტურები, პლასტიკურად იძერწება ფორმა, გადმოიცემა შუქი და ჩრდილები, იგება სივრცე. ამ გრავიურების ფაქტურა – უფაქიზესად გარდამავალი ვერცხლისფერი ტონებით – გამოირჩევა გასაოცარი სილამაზითა და მრავალფეროვნებით.

* მელანქოლია – ავადმყოფური, დათრგუნული მდგომარეობა, სევდა, ნაღველი.

ეს საინტერესოა.

- დიურერი იყო პირველი მხატვარი, რომელიც მუდმივად აწერდა ხელს თავის ნამუშევრებს. ის მათ თავის მონოგრამას ურთავდა (ა). ამ საავტორო ნიშანმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და მიბაძვის საგანი გახდა.
- დიურერმა შეადგინა ევროპულ ხელოვნებაში პირველი **მაგიური კვადრატი** 4X4 (ბ). რიცხვების ჯამი ნებისმიერ ხაზსა თუ სვეტში, ძირითად დიაგონალებში, ყოველ მეოთხედში (მათ შორის, ცენტრალურ კვადრატში), თვით კუთხის რიცხვების შემთხვევაშიც კი 34 უდრის. ქვედა ხაზის შუა რიცხვები სურათის შექმნის თარიღს აღნიშნავს (1514). პირველი სვეტის შუა კვადრატებში ცვლილების კვალი შეინიშნება.

ა

დიურერის მონოგრამა

ბ

გრავიურა (ფრანგული „gravure“-დან, „graver“ – კვეთა) – გრაფიკის სახე. წარმოადგენს დაფის, რომელზეც ნახატია დატანილი, ანაბეჭდს, დამუშავებულს სხვადასხვა ხერხით.

მონოგრამა (ბერძნულად „ერთი ასო“) – ნიშანი, შექმნილი შემოკლებული სახელის ან სახელისა და გვარის საწყისი ასოებისაგან, რომლებიც გვერდიგვერდ დგას ან ერთმანეთშია ჩახლართული.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (ფერადი ფანქრები, გელის კალამი, ფლომასტერები).

1. მოიფიქრე და დახატე შენი მონოგრამა – მოხდენილი პირობითი ნიშანი, რომელიც ავტორისადმი კუთვნილებას აჩვენებს.
2. შექმენი გრაფიკული ნახატი ნებისმიერ თემაზე.

მონოგრამის ნიმუშები

შეამოწმე შენი თავი

... სახვითი ხელოვნების ძველი, ტრადიციული სახეა. გრავიურის სახეებია: ... ბეჭდური გრაფიკის ნიმუშს ეწოდება ... ქვაზე ნაკვეთ ნახატებს ... უწოდებენ. ნახატის ხეზე კვეთით გამოსახვის ხერხს ... ჰქვია.

საკვანძო სიტყვები

ლითოგრაფია
ქსილოგრაფია
გრავიურა
გრაფიკა

შეამოწმე ნასწავლი

1. რით განსხვავდება გრავიურა ტრადიციული ნახატისაგან?
2. ისაუბრე გრავიურების სახეებზე.

5. რეალობა და ფანტაზია მხატვრის შემოქმედებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

- შეხედე დიდი მხატვრის, ლეონარდო და ვინჩის ნახატებს. როგორ ფიქრობ, არსებობენ სინამდვილეში მსგავსი ურჩხულები, თუ ეს ყველაფერი მხატვრის გამონაგონია?
- რაში სჭირდება ადამიანს ფანტაზია და წარმოსახვა?

ლეონარდო და ვინჩი. „ფანტასტიკური არსებები“

იმისთვის, რომ ვიოცნებოთ, დავგეგმოთ მომავალი, გამოვიგონოთ რამე ახალი, ვაკეთოთ აღმოჩენები, საჭიროა, გვქონდეს წარმოსახვა. **შემოქმედებითი წარმოსახვა** აუცილებელია, რათა დაინახო და ჩაწვდე სამყაროს შენ ირგვლივ და საკუთარ თავს.

რეალობა და ფანტაზია მხატვრული შემოქმედების ორი ფრთაა. მხატვარი, რომელსაც შეუძლია ცხოვრების დანახვა, ფანტაზიის უნარსაც ფლობს. მას შეუძლია მოიფიქროს და გამოსახოს ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს: ზღაპრული მხარეები, მიღმა სამყაროები, უხილავი წარსული და შორეული მომავალი, არნახული ურჩხულები და წარმოუდგენელი მექანიზმები. ბუნებრივი ფორმებისა და კონსტრუქციებისადმი მიბაძვის მაგალითები ხელოვნების ყველა სფეროში გვხვდება.

ეს აინტერესოა. ლეგენდის თანახმად, ერთხელ გლეხმა ლეონარდოს მამას, პიეროს, ხის მრგვალი ფარი მიუტანა და სთხოვა, მისი მოხატვა რომელიმე ფლორენციელი მხატვრისათვის მიენდო. პიერომ ფარი შვილს მიაბარა. ორი თვის შემდეგ მამას ფარზე ურჩხულის გამოსახულება დაუხვდა. გამოსახულება იმდენად რეალისტური იყო, რომ შიშსა და ძრწოლას იწვევდა. მამა დაინტერესდა, როგორ შეძლო ლეონარდომ ამ ურჩხულის მოფიქრება, ვაჟმა კი მწერებზე, გველსა და ხვლიკზე მიუთითა. სწორედ მათგან გადაეხატა ურჩხულის სხეულის სხვადასხვა ნაწილი.

უძველესი დროიდან ადამიანი მუდამ ოცნებობდა ფრენაზე. ლეონარდო და ვინჩი თითქმის ოცდახუთი წელი მუშაობდა მანქანების კონსტრუქციაზე, რომლებსაც ადამიანის ჰაერში აფრენა უნდა შესძლებოდათ. მან დახატა საფრენი აპარატი, რომელიც ფრთაგაშლილ ჩიტებს, მწერებსა და ღამურებს ბაძავს.

საფრენი აპარატის მოდელი

გაეცანი

ფრენის ჯადოსნობა: დიდი გამომგონებლის იდეები

ლეონარდო და ვინჩის ნახატები (ა, ბ, გ) და ამ ნახატების მიხედვით შექმნილი თანამედროვე მოდელები.

ნახატები

ა

ბ

გ

თანამედროვე მოდელები

ა) **პარაშუტი:** პირამიდის ფორმის მყარი, ტილოგადაკრული კონსტრუქცია კვადრატული ძირით.

ბ) **სპირალური ხრახნი** (ვერტმფრენი): ეს აპარატი ვერტმფრენების წინამორბედად ითვლება. აქ ისტორიაში პირველად ხორციელდება ხრახნისებური მოძრაობის ფრენისთვის გამოყენების იდეა.

გ) **ნემსიყლაპიას ფრთა:** ფრთების გამოსაცდელი მოწყობილობა. ეს საფრენი აპარატი ორი წყვილი ფრთითაა აღჭურვილი. პილოტი ვერტიკალურ მდგომარეობაში იმყოფება.

- როგორ ფიქრობ, ბუნებაში რა მოგვაგონებს ამ ფორმებს?
- რატომ მიმართა მხატვარმა ბუნებას?

დიდი შემოქმედები

ლეონარდო და ვინჩი (1452–1519)

გენიალური იტალიელი ფერმწერი, მოქანდაკე, არქიტექტორი, გამომგონებელი, მეცნიერი და ინჟინერი, მაღალი აღორძინების ფუძემდებელი. დრო, რომელშიც ის ცხოვრობდა – **აღორძინების ხანა, ანუ რენესანსი** – შუა საუკუნეების შემდეგ დადგა. იგი გამოირჩევა ცვლილებებით საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მეცნიერების, ფილოსოფიის, სახვითი ხელოვნების, არქიტექტურისა და მუსიკის აყვავებით.

ლეონარდო და ვინჩი იტალიის პატარა ქალაქ ვინჩიში დაიბადა. ოსტატად იგი ანდრეა დელ ვეროკიოს შეგირდობისას ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, მილანის მმართველ ლოდოვიკო მოროსთან სამსახურისას, ლეონარდომ თავი გამოიჩინა, როგორც სამხედრო ინჟინერმა, ჰიდროტექნიკოსმა, კარის დღესასწაულების ორგანიზატორმა.

როგორც მეცნიერი და ინჟინერი, ლეონარდო და ვინჩი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მექანიკას, მას „მათემატიკურ მეცნი-

ერებათა სამოთხედ“ მოიხსენიებდა და სამყაროს საიდუმლოებების გასაღებსაც მასში ხედავდა. შემონახულია მის მიერ შესრულებული მეტალურგიული ღუმელების, საქსოვი დაზგების, საბეჭდი, ხის დასამუშავებელი მანქანების და თვით წყალქვეშა ნავისა და ტანკის ჩანახატებიც კი.

ლეონარდო და ვინჩი გენიალური მეცნიერიც იყო, დაინტერესებული მათემატიკით, მექანიკით, ფიზიკით, ასტრონომიით, გეოლოგიით, ბოტანიკით, ადამიანისა და ცხოველების ანატომიითა და ფიზიოლოგიით და თანმიმდევრულად ახორციელებდა ექსპერიმენტული კვლევის პრინციპს. დაახლოებით შვიდი ათას გვერდამდე იტალიურად ნაწერი, დღემდე შემონახული ხელნაწერები (ისინი მარჯვნიდან მარცხნივ, სარკისებურადაა შესრულებული) სხვადასხვა ადგილას – ლონდონის, უინძორის, პარიზის, მილანისა და ტურინის ბიბლიოთეკებში – ინახება.

გრაფიკული ნახატების გარდა ლეონარდო და ვინჩიმ ფერწერის შესანიშნავი ქმნილებებითაც განაცვიფრა მსოფლიო. მათგან ყველაზე ცნობილია „მონა ლიზა“ („ჯოკონდა“) – დიდგვაროვანი ქალის პორტრეტი.

აღორძინების ხანა ანუ რენესანსი (renaissance – ხელახლა, ახლიდან შობილი) – ინტელექტუალური და შემოქმედებითი აყვავების ხანა, რომელიც შუა საუკუნეების შემდეგ დადგა და ახალი დროის კულტურის წინამორბედად გვევლინება.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები).

1. დახატე ფანტასტიკური არსებები. გამოიყენე ბუნებაში არსებული ფორმები.
2. აქციე ჩვეულებრივი ნივთი ფანტასტიკურ სატრანსპორტო საშუალებად ან წყალქვეშა ნავად. სამუშაოს შესრულებისას ყურადღება მიაქციე შენი ნაკეთობის მოსახერხებლობას გამოყენებისას, მის მიმზიდველობას და დიზაინს.
3. დაფიქრდი და შეეცადე ააგო უჩვეულო კონსტრუქციის, მაგრამ გამოყენებისას მოსახერხებელი მოდელი. შეგიძლია გამოიყენო მუყაო, თოკები ან ხე.

შეამოწმე შენი თავი

ადამიანი, რომელიც ხედავს და უგებს გარემომცველ სამყაროსა და საკუთარ თავს, ქმნის სიახლეს, აკეთებს აღმოჩენებს, ფლობს... . ... და ... მხატვრული შემოქმედების ორი ფრთაა.

საკვანძო სიტყვები

რეალობა
ფანტაზია
წარმოსახვა

შეამოწმე ნასწავლი

1. როგორ გესმის ფანტაზიის როლი ადამიანის ცხოვრებაში? უწყობს თუ არა ხელს ხელოვნება ფანტაზიის განვითარებას?
2. რა ფაქტორების გავლენით იცვლება ადამიანის მიერ შექმნილი საგნების ფორმათწარმოქმნა? ჩამოთვალე ფორმის გარეგნული დიზაინის ცვლილების შენეული მაგალითები (ავეჯი, ტელეფონი, ტანსაცმელი) და გააანალიზე, რას უკავშირდებოდა ეს.

6. ძველი სამყაროს ფერწერა

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება საღებავების მეშვეობით შექმნილ სახვითი ხელოვნების ნიმუშებს?

სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი ტიპი, რომლის მხატვრული ნიმუშები საღებავების მეშვეობით იქმნება, არის **ფერწერა** – ანუ ფერებით წერა, იგივე ხატვა.

ადამიანი უძველესი დროიდან ესწრაფვოდა გარესამყაროს ასახვას. სწორედ პირველყოფილმა ადამიანებმა დაიწყეს ხატვისას საღებავების გამოყენება. ისინი თავისებურ ფუნჯებს ხმარობდნენ, რომლებიც ცხოველის ბეწვის, ჯოხებისა და ქურქის ნაკუწებისაგან მზადდებოდა. ფერებს საღებავებისთვის მიწიდან და მცენარეებიდან მოიპოვებდნენ. მათ ცხოველის ქონს, წყალსა და მცენარეების წვენს უმატებდნენ. ასეთ გამოსახულებებს ***კლდის ფერწერა*** ანუ ***პეტროგლიფები*** ეწოდება.

1. კლდის ფერწერა. ალტამირას მღვიმე. ესპანეთი
2. „ველური ცხენები“. შოვეს გამოქვაბული

სამხატვრო გალერეა

ძველი სამყაროს ფერწერა

შუამდინარეთში ფერწერით ტაძრებს ამშვენებდნენ. ტაძრების კედლებსა და ჭერებზე ორნამენტულ მოტივებთან შეხამებულ ცხოველთა და ადამიანთა ფიგურებს გამოსახავდნენ. გამოსახულებებში იყენებდნენ *წითელ-ყვითელ, წითელ, თეთრ და შავ ტონებს.*

ასურული სასახლის კედლის ფერწერის ფრაგმენტი

პეტროგლიფები (ბერძნულად „ქვა“ და „კვეთა“) – ნეოლითის ხანაში, უძველესი ადამიანის მიერ კლდეებზე ნაკვეთი ნახატები.

ძველი ეგვიპტის ფერწერა მონუმენტალურია – ზოგჯერ, გამოსახულებები ტაძრებში უზარმაზარი იყო. საღებავებს მინერალებისაგან – კირის, ხისა და ქვის ნახშირის, რკინისა და სპილენძის მადნიდან – ამზადებდნენ.

ძველი ეგვიპტის ფერწერას განსაკუთრებული სტილი ჰქონდა, რომელიც გარკვეულ სქემას ემორჩილებოდა. ღვთაების, ადამიანისა და ცხოველის კიდურები და თავი პროფილში* გამოისახებოდა, ტანი კი – ანფასში*. რელიეფებს, ჩვეულებრივ, სიმბოლური მნიშვნელობის ფერებად ღებავდნენ: **ყვითლად, ყავისფრად, მწვანედ და ცისფრად.**

ძველეგვიპტური კედლის ფერწერა. მოხატულობის ფრაგმენტი

ძველი საბერძნეთის ფერწერაში გამოიყენებოდა მხატვრების მიერ აღმოჩენილი შუქ-ჩრდილის ხელოვნება. ამან შესაძლებელი გახადა ნიმუშები არნახული მოცულობითა და მგრძნობელობით აღსავსე გამხდარიყო, რამაც დიდი გავლენა იქონია ფერწერის განვითარების მთელ ისტორიაზე. ძველი ბერძენი მხატვრები უჩვეულო ნიმუშებს ქმნიდნენ **მოზაიკისაგან**. მოზაიკას კერამიკული ფილებისა და ფერადი ქვებისაგან აწყობდნენ, შუქ-ჩრდილის პრინციპების გამოყენებით.

ძველბერძნული მოზაიკა. ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა (ფრაგმენტი)

რომაული ფერწერის თავისებურებას მისი ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი წარმოადგენს. აქცენტის ინტერიერზე გადატანითა და რომაულ სახლებში მისაღები ოთახების გაჩენიდან განვითარდა მოხატულობის სისტემა, რომელსაც **ფრესკა** ეწოდება.

რომაული ფრესკა

პროფილი – ხედი გვერდიდან.

ანფასი – ხედი წინიდან.

ფრესკა – სველ ბათქაშზე დატანილი ნახატი.

იცი თუ არა? ფრესკა – კედლის მოხატვის ტექნიკა – წყლის საღებავების სველ ბათქაშზე დატანით, რომელიც გარკვეულ სიღრმეზე იწოვს საღებავებს, რაც საღებავის ფენის განსაკუთრებულ მდგრადობასა და დაცულობას უზრუნველყოფს.



რაფაელ სანტი.
„ათენის სკოლა“.
ფრესკა. ვატიკანი

რომელი წყლის საღებავები იცი? რომელი ბუნებრივი მასალისაგან შეიძლება საღებავების დამზადება?

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

1. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია და დაწერე ესე ფერწერის განვითარების შესახებ უძველესი დროიდან დღემდე.
2. ეცადე, მხატვრული ქმნილებების მაგალითზე, სიტყვიერად ან წერილობით, იპოვო ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების მსგავსება და სხვაობა.
3. შეადგინე სქემა ან ცხრილი, რომელშიც აისახება ფერწერის ყველა ის ტექნიკა, მიმართულება და ჟანრი, რომელსაც იცნობ. მაგალითად:

ფერწერის მიმართულებების ტექნიკები	ფერწერის ჟანრები
ხატვა აკვარელით	პორტრეტი
ხატვა ზეთის საღებავებით	ნატურმორტი

შეამოწმე შენი თავი

მხატვრულ ქმნილებებს, რომლებიც საღებავებით იხატება ... ეწოდება. სველ ბათქაშზე ნახატს ... ჰქვია. ფერადი, გაუმჭვირვალე შუშებით ან კერამიკული ფილებით შექმნილ გამოსახულებებს ... ეწოდება.

საკვანძო სიტყვები

ფერწერა
მოზაიკა
ფრესკა

შეამოწმე ნასწავლი

1. როგორ ვითარდებოდა ფერწერა ძველ დროში? რა უწყობდა ხელს ამას?
2. რით განსხვავება ფერწერა სახვითი ხელოვნების სხვა ტიპებისგან?
3. აკვარელისა და გუაშის გარდა, ფერწერის რომელ ძირითად ტექნიკებს იცნობ?

7. სპექტრი და ფერების ბორბალი

დიალოგი ხელოვნებაზე

- როგორი იქნებოდა ჩვენი სამყარო, ირგვლივ რომ ყველაფერი შავ-თეთრი ყოფილიყო? რის გამო არ არის ეს ასე?

სამყაროს ფერადად ვხედავთ და ფერს ჩვენზე ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. ფერი იმდენად რთული და ამოუცნობი მოვლენაა, რომ მას ბევრი მეცნიერება შეისწავლის. მთელ ცოდნას ფერის შესახებ თავს უყრის და სისტემად აქცევს მეცნიერება **ფერთამცოდნეობა**.

მხატვრისათვის ხილული „ფერადი სამყარო“ ცხოვრებისეული განცდებისა და გრძნობების სამყაროა.

ეს საინტერესოა. თუკი შუშის სამწახნაგოვან პრიზმას მზის სხივქვეშ მოვათავსებთ, თეთრი შუქი დანაწევრდება და წარმოიქმნება ფერადი ზოლი, რომელსაც **სპექტრი** ეწოდება.

სპექტრი იგივე ცისარტყელაა და მასში ფერები გარკვეული თანმიმდევრობითაა განლაგებული: *წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი*. შემდეგ, თუკი შუქის გზაზე შემკრებ ლინზას დავდებთ, ყველა ფერის შეერთება ისევ თეთრ ფერს მოგვცემს.

სპექტრის წარმოქმნის სქემა

ფერი ჩვენზე დიდ ზეგავლენას ახდენს და მოქმედებს ჩვენს განწყობაზე. ძველი ხალხები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფერის გავლენას და სხვადასხვა ფერებს სიმბოლურ მნიშვნელობებს ანიჭებდნენ.

იცი თუ არა? ფერის ემოციური აღქმა

ფერები	ასოციაციები
	წითელი: დინამიური, მძლავრი, აღმგზნები, საზეიმო
	ნარინჯისფერი: მიმზიდველი, ჯანსაღი, ენერგიული, გემრიელი
	ყვითელი: მზიანი, მკაფიო, მასტიმულირებელი, მხიარული, თბილი
	მწვანე: წარმატება, განმკურნებელი, მცენარეული, ეკოლოგიური, ბუნებრივი
	ცისფერი: მშვიდობიანი, სიწყნარე, სულიერება
	ლურჯი: გამბედაობა, სიცივე, სიღრმისეული
	იისფერი: მგრძნობელობა, სულიერება, მოძრაობა

აირჩიე ნებისმიერი ფერი და მოყევი, როგორ განწყობას გიქმნის ის? რა ასოციაციებს იწვევს თითოეული ფერი?

გაიხსენე. რა არის ფერების ბორბალი?



ფერების ბორბალში არსებული ფერები

ძირითადი ფერები **შედგენილი ფერები** **კონტრასტული ფერები**

ფერები, რომლებიც ფერების ბორბალში არაა

აქრომატული ფერები

ფერების ბორბალი საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ ფერების ურთიერთქმედება და შერევა.

ამგვარად, სამი ძირითადი ფერის შერევით წარმოიქმნება სამყაროს ფერთა მთელი სიმდიდრე!

- დაასახელე კონტრასტულ ფერთა წყვილები.
- დაასახელე აქრომატული ფერები.

ფერის აღქმა იცვლება იმ ფონის მიხედვით, რომელზეც ფერია განთავსებული. თბილი ლაქა უფრო ახლო გვეჩვენება, ცივი – უფრო შორს.

მუქ ფონზე ნაცრისფერი კვადრატი უფრო ნათელი ჩანს და, შესაბამისად, უფრო მუქი – ნათელ ფონზე.

ნარინჯისფერი წითელ ფონზე უფრო მოყვითალო ჩანს, ყვითელ ფონზე კი წითლის ელფერს იძენს.

ნათელ ფონზე განთავსებული ლურჯი კვადრატი მკრთალდება და, პირიქით, უფრო ნათელი ჩანს ჩამქრალ ფონზე.

აქრომატული ფერები – თეთრი, ნაცრისფერი და შავი, რომლებიც ფერების ბორბალში არ გვხვდება.

ქრომატული ფერები – მკვეთრი ფერები, რომლებიც ფერების ბორბალში გვხვდება.

გამოიყენე ნასწავლი

ფერების სკალა აქვს საწყისი და ბოლო ფერი, მათ შორის კი სპექტრის შესაბამისი ყველა ფერია განლაგებული.

დავალების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (გუაში, აკვარელი).

1. დახატე **ფერების სკალა*** ფერების სხვადასხვა ელ-ფერით.

- ალბომის ფურცელზე ფანქრით დახატე ფართო ზოლი. დაყავი ის ხუთ ნაწილად და პირველი და ბოლო ნაწილები გააფერადე შერჩეული ფერებით, მაგალითად, *ლურჯითა* და *მწვანით*. მათ შორის დარჩენილი სამი უჯრა მწვანე ფერის სხვადასხვა ელფერით გააფერადე, რომლებსაც შერევის გზით მიიღებ.
- შემდეგ ფერების სკალას ზემოთ და ქვემოთ ზოლები გაუკეთე. ეცადე, იმავენაირად შეურიო სხვა ფერები.

ფერების სკალა (ნიმუში)

ყვითელი	↑	↑	↑	წითელი
ლურჯი				ყვითელი
წითელი	↓	↓	↓	ლურჯი

2. მოიფიქრე და დახატე სურათი ძირითადი ან შედგენილი ფერებით.
3. დახატე ნატურმორტი შემოდგომის ხილითა და ბოსტნეულით. ყურადღება მიაქციე ფონსა და ნაყოფების ფერებს. ნატურმორტის დასრულებისას თემასთან დაკავშირებული რჩევები გამოიყენე.

შეამოწმე შენი თავი

მეცნიერებას, რომელიც აერთიანებს მთელ ცოდნას ფერის შესახებ ... ეწოდება. ჭრელ ზოლს ან ცისარტყელას ... ეწოდება. ყვითელი, წითელი, ლურჯი ... . ნარინჯისფერი, მწვანე, იისფერი ... . ხოლო თეთრი, ნაცრისფერი, შავი ... ფერებია.

საკვანძო სიტყვები

ფერთამცოდნეობა
აქრომატული ფერები
სპექტრი
ძირითადი ფერები
შედგენილი ფერები

შეამოწმე ნასწავლი

1. ჩამოთვალე ძირითადი ფერები. როგორ მივიღოთ შედგენილი ფერი?
2. როგორ მოქმედებს ფერი ჩვენს განწყობაზე?
3. რა როლს ასრულებს ფერი ადამიანის ცხოვრებაში? რა მოხდებოდა, ყველა ფერი რომ გამქრალიყო?

8. ფერი ფერწერის ქმნილებებში

დიალოგი ხელოვნებაზე

• რა არის მთავარი მხატვრების ნახატებში? როგორ მოქმედებს ეს ადამიანზე?



ხალიდა საფაროვა. „ნავები“

ლატიფ ფეიზულაევი. „სოფლის ძველი ნაწილი“

ფერი ჩვენს ცხოვრებაში უსასრულოდ ცვალებადია და დამოკიდებულია სინათლის რაოდენობაზე. ფერი ფერწერაში გადმოსცემს რეალობის, ჩვენს გრძნობებზე მოქმედების ცოცხალ შეგრძნებას.

ფერწერის საფუძველია **ფერების კავშირი**. ფერებისა და მათ ელფერთა კავშირის სისტემას, რომლებიც გარკვეულ ერთობას – ფერწერული ნამუშევრის ჰარმონიას – ქმნიან, **კოლორიტი** ეწოდება. კოლორიტი ნამუშევრის ფერთა წყობაა, ფერთა ყველა ელემენტის ურთიერთკავშირი. ფერწერაში კოლორიტი წარმოადგენს ემოციური გამომხატველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

ეს საინტერესოა. თბილ და ცივ ფერთა გამა

ფერების ბორბალში ფერები ასევე იყოფა თბილ და ცივ ფერებად. ეს ფერთა ძირითადი კონტრასტია და ფერის განსაზღვრის უმთავრესი საშუალება სახვით ხელოვნებაში.



გამოყოფენ წითელ-ყვითელ ნაწილს, ფერებს, რომლებიც სითბოს შეგრძნებას ქმნიან. ამიტომაც დაარქვეს მათ **თბილი**. ლურჯ-ცისფერი ფერების ნაწილს კი **ცივი** უწოდეს (ა).

არსებობენ ამ დაყოფის „დამრღვევებიც“: ცივი ფერი შეიძლება, თბილი გახდეს და პირიქით, თბილი – ცივი. ეს დამოკიდებულია ნებისმიერ საღებავში დამატებული თბილი და ცივი ფერის რაოდენობაზე (ბ).



ჩვეულებრივ, ბალახი მწვანეა, ცა – ლურჯი, სტაფილო – ნარინჯისფერი. ეს ფერის ნიშანია, რომელიც აღნიშნავს საგნის საკუთრივ, უცვლელ ფერს, მასზე რეალური გარემოს ზემოქმედების გარეშე. მას **ლოკალური ფერი** (გ). ეწოდება. თუკი ბალახს შეხედავ, მწვანის უამრავ ელფერს დაინახავ, შენიშნავ, როგორ თბილდება ბალახის ფერი მზის სხივებქვეშ და ლურჯდება ჩრდილში.



როგორ შეიცვლება ცისა და სტაფილოს ფერი დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში? რა მოქმედებს მათი შეფერილობის ცვლილებაზე?

სურათის ფერებით ასაგებად მთავარია მხატვრის უნარი ხედავდეს ფერს. ამ უნარს ოსტატურად ფლობდა ვაჯია სამედოვა – ნიჭიერი ქალი, რომელიც პროფესიონალი მხატვარი გახდა. იგი ფერწერის აზერბაიჯანული სკოლის წარმომადგენელია.

სამხატვრო გალერეა

მხატვარ ვაჯია სამედოვას ჯადოსნური კოლორიტი

1

2


3

1. „მზადება ქორწილისთვის“
2. „მსახიობ ლეილა ბადალ-ბეილის პორტრეტი“
3. „აზერბაიჯანელი კომპოზიტორები“ (სადიპლომო ნამუშევარი)

როგორია კოლორიტი ამ ქმნილებებში?

დიდი შემოქმედები

ვაჯია სამედოვა (1924-1965)

დაამთავრა აზიმ აზიმზადეს სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებელი და მოსკოვის სურიკოვის სამხატვრო ინსტიტუტი. ვ. სამედოვას შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი ფერის არაჩვეულებრივი შეგრძნებაა. იგი შესანიშნავი კოლორისტი იყო. მისი ყველა ნამუშევარი, უპირატესად, მკვეთრ, მსუყე ტონებშია შესრულებული, რომლებიც თითოეული სახისა თუ პეიზაჟის სიღრმეს უსვამს ხაზს და ცხოვრების სისავსის სიმბოლოს წარმოადგენს.

მისი ტილოების გმირები უმთავრესად ქალები ხდებოდნენ – ბამბის მკრეფავები, გლეხის ქალები, მსახიობები და ა. შ. ტილოებიდან მათი მეტყველი სახეები გვიმზერს – თავ-თავიანთი ხასიათით, ბედ-იღბლით, ნაზი თუ უხეში კანით, მხიარული და უდარდელი თუ ბრძნული მზერით... „მოლოდინი“, „მტკვრის პირას“, „გეოლოგი მინურა მამედბეილი“, „გამოცდის წინ“, „გეიგელი“, „მზადება ქორწილისთვის“...

დღეს ვაჯია სამედოვას სახელს ატარებს საგამოფენო სალონი ბაქოს ცენტრში, სადაც ადგილობრივ და საზღვარგარეთელ ოსტატთა საუკეთესო გამოფენები იმართება. იქვეა განთავსებული აზერბაიჯანის მხატვართა კავშირი.

? რა არის ვაჯია სამედოვას შემოქმედების თავისებურება?

ლოკალური ფერი – რომელიმე საგნის ძირითადი ფერი, გარე გავლენების გაუთვალისწინებლად.

კოლორიტი – ფერთა შეხამება ხელოვნების ქმნილებაში. ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს ცივი ან თბილი, მშვიდი ან დაძაბული, ნათელი ან მუქი, მკვეთრი, მქრქალი და ა. შ.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (გუაში, აკვარელი).

1. დახატე შემოდგომის პეიზაჟი თბილი კოლორიტით.
2. დახატე ზამთარი ცივი კოლორიტით.
3. მოიფიქრე და დახატე კომპოზიცია, რომელშიც შენი განწყობა აისახება.

შეამოწმე შენი თავი

ნამუშევრის ფერთა წყობას, მისი ფერების ყველა ელემენტის ურთიერთკავშირს ... ეწოდება. საგნის საკუთრივ, უცვლელ ფერს, მასზე რეალური გარემოს ზემოქმედების გარეშე ... ეწოდება.

საკვანძო სიტყვები

კოლორიტი

ლოკალური ფერი

შეამოწმე ნასწავლი

1. როგორ განწყობაზე გვაყენებს სხვადასხვა ფერი?
2. ფერების რა შეხამებას აირჩევდი, შფოთვისა და სინაზის გამოსახატად?

9. მინიატურული ფერწერა

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება ტექსტის თანმხლებ ნახატს წიგნში? რას უწოდებდნენ ამ პატარა ფერწერულ ნამუშევრებს ძველ ხელნაწერებში?

ძველად სასახლის ხელნაწერ წიგნებს ფერწერის მცირე ზომის ნიმუშებით ამკობდნენ. მათში ფერმწერები აღბეჭდავდნენ ლეგენდარულ გმირთა საქმეებს, ბრძოლებს, ლირიკულ პეიზაჟებს. ხელნაწერი წიგნების გაფორმების ხელოვნება ცნობილი გახდა, როგორც **მინიატურა**.

თავდაპირველად ეს **მთავრული ასოების** გამოსახვა იყო. დროთა განმავლობაში გაჩნდა **ორნამენტი**, რომელიც შემდეგ **ბორდიურში** გადაიზარდა, ბორდიური კი – **ჩარჩოში** ტექსტის გარშემო. XIII საუკუნეში მინიატურები, რომლებმაც უკვე წიგნის მთელი გვერდი დაიკავეს, ცალკეულ ნახატებად, ილუსტრაციებად იქცა. ეს ილუსტრაციის პირობითი, ფილოსოფიური და დეკორატიული ხელოვნებაა. მინიატურა, რომელიც, როგორც სტილი, აღმოსავლურ ხელოვნებაში წარმოიშვა, თანდათან ხელოვნების სხვა სახეობებშიც გავრცელდა.

მთავრული ასო ანტიკურ წიგნში

ტექსტის შესამკობი ბორდიურული ჩარჩო

წიგნის გვერდის ილუსტრაცია

ეს საინტერესოა. წიგნის პირველი ილუსტრაციები ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში შეიქმნა. პაპირუსზე დაწერილი ტექსტის ფერადი ილუსტრაციებით შემკობის ტრადიცია შემდგომში რომაელებმაც აითვისეს.

„გეორგიკები“. მინიატურები რომაელი პოეტის, ვერგილიუსის წიგნიდან. V საუკუნე. ვატიკანი, სამოციქულო ბიბლიოთეკა.

მინიატურის ძირითადი სახეებია: წიგნის, პორტრეტული და ლაკის*.

ეს საინტერესოა. ლაკის ფერწერის სამშობლო ჩინეთია (ძვ. წ. II ათასწლეული). ევროპაში აღმოსავლური ლაკი XV საუკუნეში გახდა ცნობილი, უშუალოდ წარმოება კი XVII-XVIII საუკუნეებში გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში იწყება.

უმდიდრესი ნახჭებიანი კომპოზიციები, ფაქიზი ხაზოვანი რიტმი, ფერთა ნატიფი შეხამება განსაზღვრავს გამოსახულებათა წყების დეკორატიულობას და **აზერბაიჯანული მინიატურის** ძირითად ნიშნებს წარმოადგენს. მინიატურისათვის უცნობია პერსპექტივა: ფიგურები და საგნები სიბრტყეზეა განლაგებული, მხატვრული ორნამენტის მსგავსად. ფორმისა და კომპოზიციის სისადავე, ფერთა პირობითობა, პეიზაჟური მოტივების სიმცირე კიდევ უფრო აძლიერებს გამოსახულების მხატვრულობას.

აზერბაიჯანული წიგნის მინიატურა, XIII-XVII საუკუნეებში, კლასიკური აღმოსავლური პოეზიის გავლენით ვითარდებოდა. მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი პოეტების – ნიზამის, ფიზულის, ფირდოუსის, საადის, ჰაფეზის, ნავოისა და აღმოსავლური პოეზიის სხვა გამოჩენილი კლასიკოსების სახელგანთქმული ნაწარმოებები მხატვართა შთაგონების ულევი წყარო იყო.

XVI საუკუნესა და XVII საუკუნის დასაწყისში თავრიზის სკოლის მინიატურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა **სადიყ-ბეგ აფშარის** შემოქმედებამ.

მინიატურა – სახვით ხელოვნებაში, საღებავების თხელი ფენით გულმოდგინედ და დახვეწილად შესრულებული პატარა სურათი.

წიგნის მინიატურა – ხელით შესრულებული ნახატები, ხელნაწერი წიგნების ფერადი ილუსტრაციები.

პორტრეტული მინიატურა – ფერწერული პორტრეტის სახეობა. მცირე ფორმატისაა და გუაშით ან აკვარელით იხატება.

ლაკის მინიატურა – ლაკის ზედაპირზე შესრულებული მცირე ზომის გამოსახულებები. ასეთი გამოსახულებები ამშვენებს ჭურჭელს, ლარნაკებს, საიუველირო ნაწარმს და ა. შ.

მისი ქმნილებები გამოირჩევა სახვითი და დეკორატიული საწყისების ჰარმონიული ერთობით, პეიზაჟის, როგორც სამოქმედო გარემოს გამოსახვით, მკვეთრი ჟღერადობითა და ფერთა წყობის ნატიფი რიტმით.

სამხატვრო გალერეა

სადიყ-ბეგ აფშარის მინიატურული ფერწერა

1

2

1. „შაჰნამეს“ გვერდი. კლივ-ლენდის ხელოვნების მუზეუმი. კლივლენდი. აშშ. 1575-1600 წწ.
2. სიმურგი იხსნის ზალას. ფირდოუსის „შაჰნამე“. 1590-იანი წლები. ჩესტერ ბიტის ბიბლიოთეკა, დუბლინი. ირლანდია.

რა სხვაობა და მსგავსებაა სადიყ-ბეგ აფშარის მინიატურებსა და ფერწერის ჩვეულებრივ ნიმუშებს შორის?

დიდი შემოქმედები

სადიყ-ბეგ აფშარი (1533-1613)

მინიატურის თავრიზის სკოლის მხატვარი და პოეტი სადიყ-ბეგ აფშარი ჯერ კიდევ ბავშვობაშია გატაცებული პოეზიითა და მხატვრობით. რვა წლის განმავლობაში სადიყ-ბეგი სახელგანთქმული თავრიზელი მინიატურისტის, მუზაფარ ალის შეგირდია. ამ დროის მანძილზე მან ათასობით განსაცვიფრებელი პორტრეტი შექმნა. სადიყ-ბეგი შაჰ ისმაილის მიერ დაარსებული ცნობილი შაჰის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ხდება და საკუთარ თავს „სადიყი ქითაბდარს“ (წიგნების მცველს) უწოდებს. ამ ბიბლიოთეკას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ აღმოსავლეთის გენიალური

მინიატურისტები – ბეჰზადი და სულთანი მუჰამედი და იგი სამართლიანად ითვლება „ხელოვნების აკადემიად“.

ცნობილია სადიყ-ბეგის მიერ შესრულებული **იმამყული-ხანის, თეიმურ-ხან თურქმენის, ემირის, მოხეტიალე დერვიშის** და სხვათა პორტრეტები. ისინი ინახება სტამბოლის, პარიზის, ბოსტონის, სანკტ-პეტერბურგის მუზეუმებში. შემორჩენილია რამდენიმე წიგნი, დასურათებული სადიყ ბეგის მინიატურებით.

აზერბაიჯანული მინიატურის ისტორიაში სადიყ ბეგმა დაიკავა ადგილი, როგორც შესანიშნავმა პორტრეტისტმა და ნოვატორმა, გამოსახულის რეალისტურად გადმოცემასა და პერსპექტივის ასახვისაკენ სწრაფვაში.

მინიატურა – მდიდარი ისტორიის მქონე ხელოვნების ფორმაა, რომელიც, მთელი მსოფლიოს მხატვრების წყალობით, დღემდე ვითარდება.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (გუაში, აკვარელი).

1. დახატე სიუჟეტური კომპოზიცია წიგნისათვის. დაე, შენს სურათში, ისევე, როგორც მინიატურებში, მშვენიერი მარადიული გაზაფხული იდგეს, ბუნების ხედები კი თავისებური ფორმულები იყოს, სადაც ორი-სამი ხე ტყის მაგივრობას სწევს, გორაკი ჰორიზონტზე – მთის პეიზაჟის, ყვავილის ბუჩქი კი – სურნელოვანი ბაღისა. შეგიძლია ადამიანები დახატო: მხედარი, შაჰი, ბერიკაცი ან მზეთუნახავი.

2. დახატე პორტრეტული მინიატურა. არ დაგავიწყდეს ბორდიურული ჩარჩოს გაკეთება. შენი მინიატურა შეიძლება იყოს პატარა, ან მოდიდო, ჩამოსაკიდებელი სურათი – საჩუქარი მეგობრებისა და ოჯახის წევრებისათვის.

3. აიღე პატარა ყუთი, რომელიც შენი ზარდახშა იქნება. გადააკარი სუფთა ქაღალდი, რომელზეც უჩვეულო ყვავილებს დახატავ. თუკი საღებავების გაშრობის შემდეგ ზედაპირს ლაკს გადაუსვამ, ლაკის მინიატურის ჩინებულ ნიმუშს შექმნი.

შეამოწმე შენი თავი

წიგნის პირველ ილუსტრაციებს ... ეწო-დება.

მინიატურის ძირითადი სახეებია ..., ... და ...

საკვანძო სიტყვები

მინიატურა

წიგნის მინიატურა

პორტრეტული მინიატურა

ლაკის მინიატურა

შეამოწმე ნასწავლი

1. რისთვისაა საჭირო ტექსტის ილუსტრაცია? რა უნდა იყოს წიგნში მთავარი – ილუსტრაცია თუ ტექსტი?
2. როგორია მინიატურების შინაარსი? არსებობს თუ არა მათი ხატვის განსაზღვრული წესები? განმარტე შენი პასუხი.
3. რაში მდგომარეობს სადიყ-ბეგ აფშარის შემოქმედების ძირითადი თავისებურება? კიდევ რომელ აზერბაიჯანელ მინიატურისტებს და მათ ქმნილებებს იცნობ?

10. ქანდაკების ნაირსახეობები

დიალოგი ხელოვნებაზე

- სახვითი ხელოვნების რომელ ტიპშია ადამიანი ძირითადი ობიექტი, რომელსაც სამგანზომილებიანი ფორმა აქვს?

ქანდაკება უძველესი დროიდან ვითარდება და სახეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჩვენამდე მოაღწია ძველი ეგვიპტის, ძველი საბერძნეთის, რომის შესანიშნავმა ძეგლებმა.

ქანდაკების ძირითადი ობიექტი ადამიანია. უფრო იშვიათად გამოსახავენ ცხოველებსა და საგნებს. ქანდაკების ფორმა სამგანზომილებიანია და განსაზღვრულ გარემოში – სივრცეშია განთავსებული. განასხვავებენ ქანდაკების ორ სახეს – **მრგვალსა** და **რელიეფურს.**



გაეცანი
ქანდაკების ნაირსახეობები

მრგვალი ქანდაკება – თავისუფლად თავსდება სივრცეში და მას ყველა მხრიდან ათვალიერებენ.

ქანდაკება – მრგვალი ქანდაკების სახე, რომელიც ადამიანის ან ცხოველის ფიგურის დიდ სამგანზომილებიან გამოსახულებას წარმოადგენს.

ძველი ეგვიპტის ხელოვნება. ნეფერტიტის ბიუსტი. ბერლინის მუზეუმი

ბიუსტი – ადამიანის გამოსახულება მკერდამდე.

ძველი ეგვიპტის ხელოვნება. ფარაონ ამონის ქანდაკება. კარნაკის ტაძარი

სკულპტურული ჯგუფი – ორი ან მეტი ფიგურა, რომლებიც ერთ მთლიანობას ქმნის.

რომაული ხელოვნება. მიქელანჯელო. „პიეტა“. ტაძარი დუომო, ფლორენცია

ტორსი – ადამიანის ტანის გამოსახულება, თავისა და ხელ-ფეხის გარეშე.

ძველი ეგვიპტის ხელოვნება. ამარნის ხანის ქალის ტორსი. ლუვრის მუზეუმი

სტატუეტი – მცირე ზომის ქანდაკება, რომელიც ადამიანს, ცხოველს ან უსულო საგანს გამოსახავს.



შუმერული ხელოვნება. გუდეას, შუამდინარეთის მბრძანებლის სტატუეტი. ქვიშაქვა. ლუვრის მუზეუმი. პარიზი

- **რელიეფი** – გამოსახულება განთავსებულია სიბრტყეზე და ქმნის ფონს. ათვალიერებენ წინიდან, ხანდახან – გვერდიდან. ძირითადი სახეებია *ბარელიეფი* და *გორელიეფი*.

- **ბარელიეფი** – ქანდაკების სახე, რომელშიც ამობურცული გამოსახულება, როგორც წესი, ფონის სიბრტყიდან ამოიზიდება ნახევრად ან კიდევ უფრო ნაკლებად.

ძველი საბერძნეთის ხელოვნება. ბარელიეფი პართენონის აღმოსავლეთ ფრიზიდან. მარმარილო. აკროპოლისის მუზეუმი, ათენი

ქანდაკება – დიდი (მონუმენტური) ქანდაკება.

სტატუეტი (ფრანგული სიტყვიდან estatuett) – მცირე ზომის ქანდაკება.

ტორსი (იტალიური სიტყვიდან torso) – ტანი.

ბიუსტი (ფრანგული სიტყვიდან buste და ლათინური სიტყვიდან bustum) – საფლავის ძეგლი.

ბარელიეფი (ფრანგული სიტყვიდან bas-relief – დაბალი) – ამობურცული გამოსახულება, რომელიც ფონის სიბრტყიდან ნახევრად ან უფრო ნაკლებადაა ამოზიდული.

გორელიეფი (ფრანგული სიტყვიდან haut-relief – მაღალი) – ამობურცული გამოსახულება, რომელიც ფონის სიბრტყიდან ნახევარზე მეტადაა ამოზიდული.

• **გორელიეფი** – ქანდაკების სახე, რომელშიც ამობურცული გამო-სახულება ფონის სიბრტყიდან ნახევარზე მეტადაა ამოზიდული.

ძველი ეგვიპტის გორელიეფები

? განმარტე ქანდაკების სახეების მსგავსება და განსხვავება.

ქანდაკებას ახასიათებს ისეთი თვისებები, როგორებიცაა ცხოვრების დინამიურობისა და ადამიანის სულიერების გამოსახვა. სწორედ ეს სძენს მას მხატვრულ და ისტორიულ მნიშვნელობას მსოფლიოს ყველა კულტურაში.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (პლასტილინი, თიხა, საძერწი ცომი).

1.გამოძერწე მრგვალი ქანდაკების ერთ-ერთი სახე.

1 2
საწყისი ეტაპი

a b
ბიუსტის ძერწვის თანმიმდევრობა (ნიმუში)

2. მოიფიქრე სიუჟეტი და ეცადე შექმნა ამობურცული რელიეფი.

შეამოწმე შენი თავი

არსებობს ორი სახის ქანდაკება: ... და ...
მრგვალი ქანდაკების სახეებია ..., ..., ... და ა. შ.
რელიეფური ქანდაკების სახეებია ... და ...

საკვანძო სიტყვები
მრგვალი ქანდაკება
რელიეფი
ქანდაკება
ტორსი
ბიუსტი
ბარელიეფი
გორელიეფი

შეამოწმე ნასწავლი

1. რა არის ქანდაკება? სად შეიძლება მისი ნახვა?
2.ქანდაკების რომელ სახეებს იცნობ?

11. მასალა და გამოსახულება ქანდაკებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

- ჩვეულებრივ, რას ეძღვნება ხოლმე ქანდაკებები?
- რისი გამოსახვაა შესაძლებელი ქანდაკებით და რისი – არა?

მასალის თვისებები ქანდაკებაში გამოსახულების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია და ეს თვისებები, მასალაზე მუშაობისას, მოქანდაკეს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს: თიხა – იძერწება, მისი მოცულობა იზრდება, გრანიტი ან მარმარილო, ხე ან ქვიშაქვა კი, პირიქით – ჩამოიქნება, ზედმეტი შორდება.

მოქანდაკის ხელებს განსაკუთრებული მგრძნობელობა აქვს, შეხების გამძაფრებული გრძნობა, რომლის წყალობითაც თითები მძაფრად აღიქვამენ ნებისმიერ ზედაპირს, შეიგრძნობენ მის სიგლუვესა და ხაოიანობას, სითბოს, როგორც ხის შემთხვევაში, ან ხისტ სიმყარეს, თუკი მეტალს ეხებიან.

მასალაზეა დამოკიდებული, როგორ დაამუშავებს მას მოქანდაკე. ქანდაკებების ნიმუშებს ხის, მარმარილოსა და ბრინჯაოსაგან შემთხვევით არ ქმნიან (ა, ბ, გ).

ა

ბრინჯაოს ქანდაკება. დონატელო. „გატამელატა“

ბ

თიხის სტატუეტი. „ებიხ II“ მარის მბრძანებელი. ძველი შუმერი.

გ

მარმარილო. სკულპტურული ჯგუფი. ლეოქარი. „დიანა-მონადირე“

ქანდაკების მასალა უკვდავყოფს ადამიანის უმშვენიერეს თვისებებს, მის ბუნებრივ სახეს, მის გამორჩეულ ხასიათს. ამის მაგალითებად გამოდგება აღორძინების ხანის გამოჩენილი მოქანდაკის, მიქელანჯელოს მარმარილოს ქანდაკებები.

თავის პლასტიკურ გამოსახულებებს იგი კი არ ძერწავდა, არამედ **აქანდაკებდა**. მარმარილოს ლოდში მიქელანჯელო მომავალ გამოსახულებას ხედავდა, რომელიც ქვის გარსისაგან უნდა გაეთავისუფლებინა. მიქელანჯელოს სკულპტურული გამოსახულებები აღსავსეა შინაგანი ძალით, მოძრაობითა და სიმძლავრით.

სამხატვრო გალერეა

დიდი მოქანდაკის იდეები

თავისი პირველი შედევრი – სკულპტუ-რული კომპოზიცია „პიეტა“ („დატირება“), წმინდა პეტრეს ტაძრისათვის – მიქელანჯელომ 25 წლის ასაკში შექმნა.

„პიეტა“. მარმარილო. წმინდა პეტრეს ტაძარი. ვატიკანი

გაიხსენე. რა ეწოდება ორ ან რამდენიმე ქანდაკებას, რომლებიც ერთ მთლია-ნობას ქმნიან?

მოსეს ქანდაკება (იულიუს II-ის აკლ-დამის ცენტრალური ფიგურა)

მიქელანჯელოს შემოქმედებამ, რომელიც იტალიური აღორძინების ბრწყინ-ვალე დასკვნით ეტაპად იქცა, უდიდესი როლი შეასრულა ევროპული ხელოვ-ნების განვითარებაში.

დიდი შემოქმედები

მიქელანჯელო ბუონაროტი (1475-1564)

მოქანდაკე, მხატვარი, არქიტექტორი და პოეტი. დაიბადა იტალიის ქალაქ კაპრეზეში, არისტოკრატულ ოჯახში. ცამეტი წლისა სწავლობდა იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატის, დომენიკო გირლანდაიოს სახელოსნოში.

ოცდაათი წლისამ შექმნა მოსეს ქანდაკება პაპის აკლდამისათვის. მიქელანჯელოს, დიდ ლეონარდოსა და რაფაელთან ერთად, გენიოსად თვლიდნენ. გარდაიცვალა ოთხმოცდარვა წლისა, დაკრძალულია ფლორენციაში, სანტა-კროჩეს ეკლესიაში.

„დავითი“. მარმარილო. ფრაგმენტი. ფლორენცია

მიქელანჯელოს მარმარილოს ქანდაკება „დავითი“ ფლორენციის მთავარ ღირსშესანიშნაობად იქცა. ხუთი მეტრის სიმაღლის დიდებული ქანდაკება თეთრი მარმარილოს ნატეხიდანაა გამოქანდაკებული. ოსტატს გამოუცდელი მოქანდაკის მიერ დაზიანებული ხუთმეტრიანი ლოდი გადასცეს. ამ „გოლიათთან“ გამკლავება მხოლოდ მიქელანჯელოს ხელეწიფებოდა.

იცი თუ არა? მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკება ნივთიერი, მატერიალურია, ხელოვნების ამ დარგში ყველაფრის გამოსახვა შეუძლებელია. როგორ უნდა გამოისახოს ქანდაკებაში, მაგალითად, სიშორე? ამიტომაა, რომ გამოსახულებები ქანდაკებაში, ძირითადად, ადამიანსა და ცხოველებს ეძღვნება.

ქანდაკებაში ცხოველების გამოსახულებები ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანის დროს იქმნებოდა. ეგვიპტისა და შუამდინარეთის ძველ სამეფოებში შეიქმნა ცხოველების შესანიშნავი ქანდაკებები, რომლებიც თავიანთი გამომსახველობით და იმით, თუ რა დაკვირვებულები იყვნენ მათი შემქმნელები, დღესაც გვანცვიფრებენ.

დღესაც, **ანიმალისტური ჟანრი** – ცხოველების გამოსახვა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში – ყველასთვის საყვარელია. ბევრი შესანიშნავი შემოქმედი ამ ჟანრში მოღვაწეობს.

ანიმალისტური ჟანრი ძველ სამყაროში

შუამდინარეთი

ძველი ეგვიპტე

ძველი რომი

მცირე ფორმების ქანდაკებას **წვრილ პლასტიკას** უწოდებენ. წვრილი პლასტიკის ქმნილებები – სტატუეტები, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული პატარა ფიგურები – ნებისმიერ სახლშია.

სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული წვრილი პლასტიკის ნიმუშები

ხე

ფაიფური

ბრინჯაო

თიხა

გამოქანდაკება – მყარი მასალიდან მოცულობითი გამოსახულების გამოკვეთის ხელოვნებაა.

ანიმალისტური ჟანრი (ლათინური სიტყვიდა „animal“ – ცხოველი) – სახვითი ხელოვნების ჟანრი, რომლის მთავარი ობიექტი ცხოველებია – ძირითადად, ფერწერაში, ფოტოგრაფიაში, ქანდაკებაში, გრაფიკაში და უფრო იშვიათად – დეკორატიულ ხელოვნებაში. შემოქმედებს, რომლებიც ანიმალისტურ ჟანრში მუშაობენ, **ანიმალისტები** ეწოდებათ.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (პლასტილინი, თიხა, საძერწი ცომი).

1. გამოძერწე ნებისმიერი ცხოველი წარმოსახვით. დაარბილე პლასტილინი, შეხედე პლასტილინის გუნდას – ეგებ, გუნდის უსწორმასწორო ფორმამ გიკარნახოს მომავალი გამოსახულება. გამოსახე ცხოველის თავი და ტანი, პლასტილინის ცალკეულ ნაწილებს კი ნუ შეაწებებ, არამედ მთლიანი გუნდიდან გამოკვეთე ისინი.
2. აიღე ქაღალდი და დაკუჭე ისე, რომ დარბილდეს. ქაღალდის დაკუჭვით ეცადე შექმნა რომელიმე ცხოველის მოცულობითი გამოსახულება. შეგიძლია, ქაღალდის ნაწილები გადაგრიხო. ნებისმიერი ცხოველი შეიძლება გამოგივიდეს. შეგიძლია ახსნა, როგორ მოქმედებს მასალა გამოსახულებაზე?

შეამოწმე შენი თავი

ძერწვისას გამოყენებული ბუნებრივი მასალაა ..., ხელოვნური კი ... . ცხოველების გამოსახვას ეწოდება ... . მცირე ფორმების ქანდაკებას ... ჰქვია.

საკვანძო სიტყვები

პლასტილინი
თიხა
ანიმალისტური ჟანრი
წვრილი პლასტიკა

შეამოწმე ნასწავლი

1. მიქელანჯელოს ყველაზე ცნობილი ქმნილებებიდან რომლები იცი?
2. როგორ გესმის მიქელანჯელოს გამონათქვამები: *„თავს კარგად მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როცა ხელში საჭრეთელი მიჭირავს“; „ნებისმიერი ქმნილება ღირებულია, თუკი თავის თავში იდეას მოიცავს“.*
3. რა მასალას იყენებს მოქანდაკე სკულპტურული ფორმების შესაქმნელად?

გვ. 43-60

ძველი სამყაროს არქიტექტურა

12. ფორმა და კონსტრუქცია ნაგებობებში
13. აღმოსავლური ხუროთმოძღვრების დიდი ქმნილებები
14. ორნამენტული ხელოვნება არქიტექტურაში
15. ძველი სვეტების ბუნებრივი ფორმები

2

12. ფორმა და კონსტრუქცია ნაგებობებში

დიალოგი ხელოვნებაზე

- როგორაა ასახული ბუნებრივი ფორმები არქიტექტურაში?

გარესამყარო გვაოცებს ფორმების მრავალფეროვნებით. **ფორმა** საგნის გარშემოწერილობა, გარეგნული სახეა.

ბუნებრივი ფორმები იდეების უშრეტი წყაროა შემოქმედი ხალხისათვის.



გეორგინები

ნაძვი



კუნძი

? კიდევ რა მოიძებნება ბუნებაში, რასაც გეომეტრიული ფორმის სახე აქვს?

ფორმაზე საუბრისას მუდამ არქიტექტურას მივმართავთ. არქიტექტურული ფორმების სიმბოლური მნიშვნელობები შეიძლება სხვადასხვა იყოს. ადამიანის შემოქმედებითმა აზროვნებამ ბევრი ეტაპი გაიარა – გამოქვაბულის პრიმიტიული თავშესაფრიდან ცათამბჯენებამდე.

პირამიდის ფორმის კონსტრუქციები არა მხოლოდ ძველეგვიპტური კულტურის სიმბოლოა, არამედ ფარაონის ღვთაებრიობისაც, რასაც ეგვიპტის პირამიდები გამოსახავს.

ძველი დროის უდიდეს არქიტექტურულ ქმნილებათა შორისაა ხეოფსის პირამიდა.

პირამიდული ფორმა



წინხედი



ზედხედი



ზოგადი ხედი

დიდი პირამიდები გიზაში

? პირამიდის ფორმის კიდევ რომელი ნაგებობები შექმნა ადამიანმა?

ეს საინტერესოა. პირამიდები საუკუნეთა მანძილზე განადიდებდნენ ფარაონის ძლევამოსილებას და მის არსებობას შეახსენებდნენ მომავლის ხალხებს.

პირამიდები გიზაში – მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთადერთი შემორჩენილი საოცრებაა.

სახელგანთქმული ეგვიპტური პირამიდების წინამორბედია ძველი შუამდინარეთის საფეხუროვანი კოშკები – **ზიკურათები**. მსგავსი არქიტექტურული ანსამბლების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო **კიბეები და პანდუსები**. ზიკურათის არქიტექტურული იერის საერთო სურათს ასრულებდა ტერასებად დაყოფილი ბაღები.

მართკუთხა ფორმა



წინხედი



ზედხედი



ზოგადი ხედი

ზიკურათი. ქალაქი ური

ეს საინტერესოა. ზიკურათი (ბაბილონური სიტყვიდან „მწვერვალი“, მათ შორის „მთის მწვერვალი“) – მრავალსაფეხუროვანი საკულტო ნაგებობა ძველ შუამდინარეთში (მესოპოტამიაში).

ბაბილონური ტაძრის დამახასიათებელი ფორმა იყო შვიდსაფეხუროვანი პირამიდა. ჰოლანდიელი მხატვრის, პიტერ ბროიგელის ცნობილ სურათზე შვიდსართულიანი გოდოლია დახატული, რომელიც ზემოთ კონუსივით ვიწროვდება. იგი, თითქოს, პირდაპირ კლდიდანაა ამოზრდილი. ლეგენდის თანახმად, ბაბილონის გოდოლი დაინგრა, მაგრამ ბროიგელის წარმოსახვით შექმნილი გოდოლი დღემდე დგას.

კონუსისებური ფორმა

წინხედი

ზედხედი

ზოგადი ხედი



პიტერ ბროიგელი. ბაბილონის გოდოლი. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი. ვენა

ფორმა არქიტექტურაში ნაგებობის **ფუნქციაზეცაა** (დანიშნულებაზე) დამოკიდებული. უჩვეულო ფორმისა და კონსტრუქციის არქიტექტურულ ნაგებობებს შორის განსაკუთრებულად საინტერესოა **კოლოსეუმი** – რომაულ ნაგებობათა შორის ყველაზე დიდი.

ოვალური ფორმა

წინხედი



ზედხედი



ზოგადი ხედი

კოლოსეუმი. რომი

ეს საინტერესოა. კოლოსეუმის სახელი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდა „colossus“, რაც „გოლიათს“ ნიშნავს. ამ უძველეს თეატრში თამაშდებოდა პანტომიმა, იმართებოდა გლადიატორთა ორთაბრძოლები, ათვინიერებდნენ მხეცებს. კოლოსეუმი უზარმაზარი ოვალური თასივითაა. ცენტრში არენაა განთავსებული, რომელიც გარშემორტყმულია საფეხუროვანი სკამებით მაყურებლებისთვის.

მონუმენტური ნაგებობების ფორმათა დანაწევრების სინატიფე, მათი არქიტექტურული აგებულება, ორნამენტულ მორთულობათა თამაში ავჯემი ნახიჩევანის ქმნილებებში ნათლად აჩვენებს კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის აყვავებას XII საუკუნის აზერბაიჯანში.

არქიტექტურული გალერეა
დიდი ხუროთმოძღვრის იდეები

წინხედი ზედხედი ზოგადი ხედი

მომინე ხათუნის მავზოლეუმი (1186)



წინხედი ზედხედი ზოგადი ხედი

იუსიფ იბნ კუსეირის აკლდამა (1162)

ისაუბრე არქიტექტურული ძეგლების ფორმაზე

არქიტექტურა, ანუ ხუროთმოძღვრება – შენობა-ნაგებობების, ასევე მათი კომპლექსების პროექტირებისა და აშენების ხელოვნება.
კონსტრუქცია – რაიმე საგნის აგებულება, წყობა, მისი ნაწილების ურთიერთგანლაგება; სხვადასხვა ნაწილისაგან შედგენილი რთული ობიექტი.
ზიკურათი – საფეხუროვანი ტაძარი, რომელიც დამახასიათებელია შუამდინარული, შუმერული არქიტექტურისათვის.
პანდუსი – დაქანებული ზედაპირი, რომელიც კიბის მაგივრობას სწევს.

დიდი შემოქმედები



ა. შახტახტინსკაია. „ხუროთმოძღვარი აჯემი“.

აჯემი იბნ აბუბაქრ ნახიჩევანი
(XII საუკუნის 20-იანი წლები – XII საუკუნის ბოლო)
აზერბაიჯანელი ხუროთმოძღვარი, აზერბაიჯანის ნახიჩევანის არქიტექტურული სკოლის ფუძემდებელი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქალაქ ნახიჩევანში. მის ქმნილებებს შორისაა იუსიფ იბნ კუსეირის საფლავის ქვა (1162), მომინე ხათუნის მავზოლეუმი (1186), ნახიჩევან-ჯუმას მეჩეთი. თანამედროვეები აჯემის „შეიხ ულ-მუხანდის“ – „ინჟინერთა თავკაცს“ უწოდებდნენ. სწორედ მას მიაწერენ წარწერას მომინე ხათუნის მავზოლეუმზე: **„ჩვენ წავალთ – სამყარო დარჩება, ჩვენ გარდავიცვლებით – ეს კი დაშთება სახსოვრად “.**

აჯემიმ ახალი მიმართულებით წაიყვანა შუა საუკუნეების აზერბაიჯანული არქიტექტურა, სინატიფე და დინამიზმი შესძინა იმ პერიოდის, გარკვეულწილად, მძიმე და ხისტ არქიტექტურულ სტილს, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელი ახლო აღმოსავლეთის ხუროთმოძღვრებაზე.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები).

1. შექმენი ნებისმიერი არქიტექტურული ნაგებობის პროექტი, გაითვალისწინე მისი ფორმა და კონსტრუქცია. მუშაობის დროს ბუნების ფორმებზე ორიენტირდი. ეცადე, ზოგადი ხედის გარდა, ასევე აჩვენო ხედი ზემოდან და გვერდიდან.
2. მოიფიქრე და დახატე საყოფაცხოვრებო ნივთი, რომლის კონსტრუქციაც ბუნების ფორმებს გაგონებს.
3. მოიფიქრე უჩვეულო შენობა სხვადასხვა გეომეტრიული საგნის გამოყენებით.

შეამოწმე შენი თავი

არქიტექტურულ ნაგებობებს აქვთ სხვადასხვა ... და ... . შუამდინარული, შუმერული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ საფეხუროვან ტაძარს ... ეწოდება. დაქანებულ ზედაპირს, რომელიც კიბის მაგივრობას სწევს ... ჰქვია.

საკვანძო სიტყვები
ფორმა
კონსტრუქცია
ზიკურათი
პანდუსი

შეამოწმე ნასწავლი

1. რა არის ფორმის საფუძველი? მოიყვანე შენი მაგალითი.
2. რა ფაქტორების გავლენით იცვლება ადამიანის მიერ შექმნილი საგნების ფორმათწარმოქმნა? ჩამოთვალე ფორმის გარეგნული დიზაინის ცვლილების შენეული მაგალითები და გააანალიზე, რითია ეს განპირობებული.
3. რა ფორმები გვხვდება ხუროთმოძღვარ აჯემის არქიტექტურულ ძეგლებში?

13. აღმოსავლური ხუროთმოძღვრების დიდი ქმნილებები

დიალოგი ხელოვნებაზე

- ხელოვნების რომელ დარგს უწოდებენ სულის მუსიკას, რომელიც სამუდამოდ რჩება ხალხის მეხსიერებასა და ისტორიაში?

ხელოვნების კიდევ ერთი უძველესი დარგია **არქიტექტურა** – სამშენებლო ხელოვნება, ხუროთმოძღვრება. არქიტექტურის ნიმუშებია შენობები, ანსამბლები, ასევე ნაგებობები, რომლებიც ღია სივრცეებს აორგანიზებს. არცერთი არქიტექტურული ნაგებობა ცალკე არ არსებობს. იგი ორგანულად უნდა ერწყმოდეს ბუნების **ლანდშაფტს**, კავშირში უნდა იყოს სხვა ნაგებობებთან.

აღმოსავლური არქიტექტურის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილებაა სტამბოლის შვიდ გორაკთაგან ერთ-ერთზე მდებარე სახელგანთქმული სულეიმანიეს მეჩეთი.

სულეიმანიეს მეჩეთი

აია-სოფიას მეჩეთი

თავისი სახელის უკვდავსაყოფად, ძლევამოსილმა სულთანმა, რომელსაც ევროპაში სულეიმან დიდებულს უწოდებდნენ, მეჩეთის აშენება ბრძანა. მშენებლობა ოსმალეთის ყველაზე ცნობილ და ნიჭიერ ხუროთმოძღვარს, სინანს დაავალა, რომელიც იმ დროს კარის მთავარი არქიტექტორი იყო.

სინანის შთაგონების წყარო იყო სტამბოლის მეორე უდიდესი მეჩეთი – აია-სოფია (წმინდა სოფია კონსტანტინოპოლელის ტაძარი), რომლის გუმბათის აგებულებაც აიღო საფუძვლად არქიტექტორმა. მან დეტალურად შეისწავლა აია-სოფიას მეჩეთის არქიტექტურული პრინციპები, თუმცა, სულეიმანიეს მეჩეთის გუმბათის აგებულებაში სინანმა თავისი შესწორებები შეიტანა. სტამბოლის მეჩეთებს შორის, გუმბათის ყველაზე დიდი დიამეტრი სულეიმანიეს მეჩეთს აქვს.

ლანდშაფტი – მიწის ზედაპირის მონაკვეთი.
მეჩეთი (არაბულად „თაყვანისცემის ადგილი“) – მუსლიმური სალოცავი (ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი). არქიტექტურული ნაგებობა.

დიდი არქიტექტორები

მიმარ სინანი (1489–1588)

მიმარ (ანუ „არქიტექტორი“) სინანი აღმოსავლეთის ერთ-ერთი გამორჩეული ხუროთმოძღვარია. სწორედ მის სახელს უკავშირდება არქიტექტურის არნახული აყვავება ოსმალეთის იმპერიაში. მისი არქიტექტურული მემკვიდრეობა უზარმაზარია: 318 შენობა, საკულტო ნაგებობა და არქიტექტურული ანსამბლი თურქეთში, სირიაში, ბოსნიაში, ყირიმში. სინანი იმპერიის მთავარი არქიტექტორი გახდა და ამ თანამდებობაზე 50 წელი დაჰყო.

მის ყველაზე გამორჩეულ ქმნილებებს შორისაა სამი მეჩეთის კომპლექსი: **შეჰზადე** (ანუ პრინცების მეჩეთი, 1548), **სულეიმანიე** (ანუ სულეიმან პირველის მეჩეთი, 1557) სტამბოლში და **სელიმიე** (ანუ სელიმ მეორის მეჩეთი, 1574) ედირნეში. როგორც სამხედრო ინჟინერი იგი აგებდა ხიდებსა და მიწისქვეშა სათავსოებს, როგორც არქიტექტორი კი – მეჩეთებს, სასახლეებს, ქარვასლებსა და საზოგადოებრივ აბანოებს.

არქიტექტორი სინანი სტამბოლში გარდაიცვალა და სულეიმანიეს მეჩეთის ეზოშია დაკრძალეს.

არქიტექტურული გალერეა

დიდი არქიტექტორის პროექტები



სულეიმანიეს
მეჩეთის
სქემა-კონსტრუქცია

1. გუმბათი
2. საყრდენი სვეტები
3. „იალქნები“
4. გვერდითი ნახევარგუმბათები
5. დახურული გალერეა
6. მცირე გუმბათები
7. შადრევანი
8. ოთხი მინარეთი
9. ათი აივანი
10. სულთანისა და მისი ცოლის საძვალე

შეჰზადეს მეჩეთი. სტამბოლი

მიჰრიმაჰის მეჩეთი. სტამბოლი

მიმარ სინანმა ახალი მხატვრული სტილი შექმნა, რომელმაც რამდენიმე საუკუნით განსაზღვრა თურქული არქიტექტურის განვითარების გზები. რუხი ქვით ნაგები მისი მეჩეთები გეომეტრიული ფორმების ლოგიკას ემორჩილება და გარეგნულად მკაცრი ჩანს, მაგრამ განცვიფრებას იწვევს შიდა მრავალფეროვნების სიუხვით.

გამოიყენე ნასწავლი

დავალება **დამოუკიდებლად მუშაობისათვის** (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები).

შექმენი არქიტექტურული ნაგებობის ან შენობის გარეგნული იერის ცალკეული ელემენტების მონახაზები და ელემენტების ჩანახატები მახსოვრობით. ეცადე, შეუხამო შენობა ბუნებრივ ლანდშაფტს. დაფიქრდი, როგორ დაუკავშირო იგი სხვა ნაგებობებს.

შეამოწმე შენი თავი

ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეა ... . ნებისმიერი არქიტექტურული ნაგებობა ორგანულად უნდა ერწყმოდეს ბუნების ... . ძველად, მბრძანებლის სახელის უკვდავსაყოფად, მისივე ბრძანებით, ... აგებდნენ.

საკვანძო სიტყვები
ლანდშაფტი
არქიტექტურა
მეჩეთი

შეამოწმე ნასწავლი

1. რით განსხვავდება აღმოსავლეთის ხუროთმოძღვრება ძველეგვიპტური და რომაული არქიტექტურისაგან?
2. როგორი ახალი მხატვრული სტილი შექმნა მიმარ სინანმა?

14..ორნამენტული ხელოვნება არქიტექტურაში

დიალოგი ხელოვნებაზე

- რისი სიმბოლოებია და რა ეწოდება ძველებურ ნიშნებს? სად გვხვდება ისინი?

ძველი დროის ადამიანი სამყაროს მისეულ ხედვას გარკვეული ნიშნებით გამოხატავდა: წრე მზეს აღნიშნავდა, სამკუთხედი – მთებს, სპირალი – განვითარებასა და მოძრაობას, რომბი კი – მიწას.

ხელოვნების მთელი ისტორიის მანძილზე გვხვდება ორნამეტების სხვადასხვა სახეები. ყველა ერს, ხანდახან კი მის ცალკეულ ნაწილსაც, თავისი ორნამენტი აქვს.

ორნამენტი – მოხატულობა, რომელიც რიტმულად განმეორებადი ელემენტებისაგან შედგება. ეს ელემენტები, შეიძლება, წარმოქმნიდნენ ორნამენტულ რიგს. ორნამენტის მოტივები ნასესხებია სხვადასხვა დარგიდან და სფეროდან, მაგალითად, გეომეტრიიდან, ფლორიდან, ფაუნიდან. **მოტივი** ორნამენტის ნაწილი, მისი მთავარი ელემენტია. იგი, შესაძლოა, ერთი ან მრავალი, ერთ მთლიანობად გაფორმებული, ელე-მენტისაგან შედგებოდეს. ამ ელემენტების ხასიათიდან გამომდინარე, ორნამენტი სახეებად იყოფა.

ორნამენტი

- გეომეტრიული
- მცენარეული
- ზოომორფული

მცენარეული ორნამენტი მცენარეული სამყაროს სტილიზებული ელემენტებისაგან – ფოთლების, ნაყოფების, კენკრის, ყვავილების სხვადასხვა შეხამებისაგან – შედგება.

1

2

3

4

1.პალმეტის მარმარილოს ფოთლები ათენის აკროპოლისიდან. 2. აკანტის ფოთლები რომაულ კაპიტელში. პომპეის რელიეფი. 3. ბიზანტიური რელიეფები მსოფლიო ხით. 4. წმინდა პეტრეს ტაძრის როზეტი ასიზიში.

სად გვხვდება ეს მცენარეული ორნამენტები? ისაუბრე მათ სიმეტრიულ გადაწყვეტაზე.

პალმეტი (ფრანგული სიტყვიდან „palmette“ – პალმისა) – ანტიკური ორნამენტის ელემენტი, რომელიც პალმის სტილიზებულ ფოთლებს გამოსახავს.
როზეტი (ფრანგული სიტყვიდან „rosette“ – პაწია ვარდი) – ყვავილის ფორმის ორნამენტული მოტივი, რომელშიც ფურცლები სიმეტრიულადაა განლაგებული.

დაიმახსოვრე! ორნამენტის ცნება არ უნდა აგვერიოს დეკორის ცნებაში. თუმცა ორნამენტი ყოველთვის დეკორის ნაწილია, დეკორი ყოველთვის ორნამენტი როდია. ორნამენტი, უპირველეს ყოვლისა, სამშვენისია. მისი აუცილებელი პირობებია – მოტივების რიტმული განმეორებადობა და იმ ობიექტის, რომელსაც იგი ამშვენებს, ზედაპირთან და ფორმასთან მჭიდრო კავშირი. დეკორი, უფრო ფართო გაგებით, შესაძლოა ინარჩუნებდეს დამოუკიდებლობას და სახვით, აზრობრივ საწყისს. ამ პრინციპების კარგი ილუსტრაციაა ბერძნული ლარნაკწერის ევოლუცია.

გეომეტრიული ორნამენტი უმარტივესი გეომეტრიული ფიგურების (წრის, კვადრატის, სამკუთხედის, მართკუთხედის და სხვ.), წერტილების, კლაკნილი და სპირალური ხაზების რიტმული განმეორებადობითაა შექმნილი.

1

2



3



4



5

1. ბიზანტიური მოზაიკა – წრე (მზის ნიშანი)
2. მეანდრი ანტიკურ არქიტექტურულ ორნამენტში
3. მარგალიტები (მძივი)
4. კარაკალას თერმების იატაკის მოზაიკა ქერცლოვანი ორნამენტით
5. იატაკის ადრებიზანტიური მოზაიკა – შევრონები (განმეორებადი ზიგზაგებისაგან შედგენილი მოხატულობა). რავენა

? სად გვხვდება ეს გეომეტრიული ორნამენტები? ისაუბრე რიტმზე, ფერსა და სიმეტრიაზე მათში.

ბორდიური – ორნამენტის სახე – გრძელ ლენტზე პერიოდულად გამეორებული ნახატი.

მეანდრი (meander, mendeeres) – სწორი კუთხით დატეხილი ხაზით წარმოქმნილი ორნამენტის სახე.

ზოომორფული ორნამენტი – ორნამენტი, რომელიც რეალური ან ფანტასტიკური ცხოველებისა და ფრინველების გამოსახვაზეა აგებული.

ზოომორფული ელემენტები ბიზანტიურ ორნამენტებში

ბიზანტიური ლომი. მოზაიკა

ქვის ბიზანტიური რელიეფი გრიფონით

კენტავრი ბიზანტიურ ორნამენტში

? რა შეიძლება ითქვას ორნამენტების გამოსახულებაზე? რომელი ცხოველების ნაწილებს აერთიანებენ ისინი?

იცი თუ არა? **ბაბილონი** – აქადური **Bābili**-დან, „ღმერთების კარიბჭე“. მის კარიბჭეებზე 120 ასეთი ორმეტრიანი დეკორატიული მხეცი იყო გამოსახული. ისინი ქალაქის სიმბოლური მცველები იყვნენ. ფონის ლურჯ ფერს გათვალვისაგან დამცავი მაგიური საშუალების მნიშვნელობა ჰქონდა.

ზოომორფული გამოსახულებები ქალაქის კარიბჭეზე ბაბილონში

ორნამენტი, რომელიც კაცობრიობის დაბადებისთანავე გაჩნდა, ემოციურად და ესთეტიკურად ამდიდრებს ხელოვნებას ფორმების მრავალფეროვნებითა და ფერების სიმდიდრით. დეკორი, რომელიც აზერბაიჯანის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ეროვნულ მუზეუმს ამშვენებს, ორნამენტული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. ცნობილი მხატვარი-ორნამენტალისტი ლატიფ ქერიმოვი ფართოდ იყენებდა ეროვნულ ელემენტებს. ეს ელემენტები, როგორც ხალიჩის მორთულობა, ფარავს ლიტერატურის მუზეუმის ინტერიერებს. მხატვარმა კედლის ღრმა ნიშები „აჟურულ“ თაღებად აქცია.

გრიფონი – მითიური ფრთოსანი არსება ლომის ტანითა და არწივისა და ლომის თავით.

კენტავრი – ბერძნულ მითოლოგიაში, ველური არსება ადამიანის თავითა და ტორსით ცხენის სხეულზე.

ერთიანი სტილი და ორნამენტების განუმეორებელი ხვეულები მუზეუმის ინტერიერს საოცრად ფაქიზ მოხაზულობასა და დიდებულებას სძენს.

გაიცანი

გამოჩენილი მხატვარ-ორნამენტალისტის იდეები

აზერბაიჯანის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის ინტერიერის ორნამენტები.

ორნამენტების ელემენტები, რომლებიც მუზეუმის ინტერიერს ამშვენებს

უბრალო ისლიმი

ფრთიანი ისლიმი

ხატაი



ვაგ-ვაგი



ბუთა

თაღი – უბრალო ლეჩეკი

დიდი შემოქმედები

ლატიფ ჰუსეინ ოღლი ქერიმოვი (1906–1991)
აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი, მხატვარი-ორნამენტალისტი, ხალიჩების მცოდნე. მისი სამტომიანი სამეცნიერო მონოგრაფია „აზერბაიჯანული ხალიჩები“ ხალიჩის ხელოვნების კვლევას ეძღვნება.
1934 წელს ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალიჩა წარმატებით გამოიფინა პარიზში, მსოფლიო გამოფენაზე. ლ. ქერიმოვმა შეაგროვა აზერბაიჯანული მეხალიჩეობის ათასწლოვანი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა სახის ხალიჩებისათვის დამახასიათებელი მოხატულობები და კომპოზიციები, მოამზადა კუბაში, შირვანში, ბაქოში, ყაზახში, განჯაში, ყარაბაღში, თავრიზსა და ბორჩალოში მოქსოვილი ხაოიანი და უხაო ხალიჩების 150-ზე მეტი ფერადი რეპროდუქცია.

აზერბაიჯანელ მხატვრებთან ერთად, ლ. ქერიმოვმა მოამზადა ხუთი ხალიჩა, რომლებიც დიდი აზერბაიჯანელი პოეტის, ნიზამი განჯევის იუბილეს მიეძღვნა. ამ ხალიჩებზე გამოსახულია „ხამსეს“ პოემების ეპიზოდები. პირველად, 1972 წელს, ლ. ქერიმოვის ინიციატივით, შეიქმნა საცავი, რომელიც იქცა აზერბაიჯანის ხალიჩისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ეროვნულ მუზეუმად. როგორც სამხედრო ინჟინერი იგი აგებდა ხიდებსა და მინისქვეშა სათავსოებს, როგორც არქიტექტორი კი – მეჩეთებს, სასახლეებს, ქარვასლებსა და საზოგადოებრივ აბანოებს.

არქიტექტორი სინანი სტამბოლში გარდაიცვალა და სულეიმანიეს მეჩეთის ეზოშია დაკრძალეს.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, გელის კალმები).

1. ეცადე, დახატო ბორდიური მცენარეული, გეომეტრიული ან ზოომორფული ორნამენტებით. კომპოზიციის აგებისას არ დაივიწყო სიმეტრია, რიტმი.
2. მოიფიქრე და დახატე შენობა, რომლის კედლებზეც ეცდები – თემაში მოცემული ნიმუშების კვალდაკვალ – გამოსახო სხვადასხვა სახის ორნამენტები.
3. დახატე ნებისმიერი საგნის სილუეტი და მორთე იგი ორნამენტებით.

შეამოწმე შენი თავი

მოხატულობას, რომელიც რიტმულად განმეორებადი ელემენტებისაგან შედგება ... ეწოდება. მცენარეული მოტივებისაგან შედგენილ მოხატულობას ... ჰქვია. გეომეტრიული ფორმებისაგან შედგენილ მოხატულობას ... ეწოდება. ცხოველებისა და ფრინველების გამოსახვით შექმნილ ორნამენტს ... ჰქვია.

საკვანძო სიტყვები
ორნამენტი
მცენარეული ორნამენტი
გეომეტრიული ორნამენტი
ზოომორფული ორნამენტი

შეამოწმე ნასწავლი

1. რა არის ორნამენტის ძირითადი მიზანი?
2. რა არის საერთო ორნამენტების ყველა სახეში?
3. ისაუბრე ლ. ქერიმოვის შემოქმედებაზე.

15. ძველი სვეტების ბუნებრივი ფორმები

დიალოგი ხელოვნებაზე

- რას იყენებდნენ არქიტექტურაში საყრდენად?
- რითი ამკობდნენ სხვადასხვა საგნებს?

ძველ ეგვიპტეში ხელოვნება მარადისობის განსახიერებად ითვლებოდა და მისი როლი ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ეგვიპტელები აგებდნენ სასახლეებს, ტაძრებს, აკლდამებს და მათ კედლებს მოხატულობებით ამშვენებდნენ. ძველეგვიპტურ არქიტექტურაში ფართოდ გამოიყენებოდა **სვეტები**, რომელთა ტანი ლერწმის შეკვრას წააგავდა, **კაპიტელს** კი პაპირუსის ყვავილის ან კოკრის ფორმა ჰქონდა.

არქიტექტურული გალერეა

ბუნებრივი ფორმები სვეტებში

სვეტები, რომელთა ტანი ლერწმის შეკვრას წააგავს, **კაპიტელს** კი პაპირუსის ყვავილის ან კოკრის ფორმა აქვს.

ღმერთ ამონრას ტაძრები. არქიტექტურული კომპლექსების კოლონადები კარნაკსა და ლუქსორში.





- რა ნაწილებისაგან შედგება სვეტი?
- ისაუბრე სვეტების კაპიტელების ფორმებზე.

ძველი ეგვიპტის არქიტექტურაში გამოყოფენ ეგვიპტური სვე-ტებისა და კაპიტელების ძირითად ტიპებს: ა) პალმის ფორმის კაპიტელი; ბ) პაპირუსის ფორმის კაპიტელი; გ) ლოტოსის ფორმის კაპიტელი; დ) დაღარული ნახევარსვეტი.

ძველეგვიპტური სვეტების ხედი წინიდან და ზემოდან



ეს საინტერესოა. ძველეგვიპტურ ხელოვნებაში კოლორიტს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა: მწვანე სიცოცხლის ფერი იყო, ცისფერი – ღმერ-თების, ოქროსფერი – უკვდავების, შავი – აღორძინებისა და მარადიული ცხოვრების.

დეკორის ელემენტები ძველეგვიპტური სვეტების მოხატულობაში

ძველეგვიპტურ არქიტექტურაში სვეტი წარმოადგენდა ნაგებობის მორთულობის მთავარ ელემენტს. განასხვავებდნენ სვეტების სამ სახეს – **დორიულს, იონიურს, კორინთულს**. სვეტის ტანს **კანელურებით** ამშვენებდნენ.

დორიული სვეტი საკმაოდ დიდი და მასიურია. იგი გადაჭრილ კონუსს წარმოადგენს, რომელიც ზემოთ ვიწროვდება და კაპიტელით გვირგვინდება. დორიულ სვეტებს არ აქვს ბაზა.



პართენონის ტაძარი

რა მოგვაგონებს ბუნებაში დორიული სვეტის მასიურ ტანს?

მოხდენილ იონიურ სვეტებს აქვს ბაზა და კაპიტელი, ტანი მორთულია კანელურებით, რომლებიც ვიწრო შუალედებს – ღარებს წარმოქმნის.



ერექტეიონის ტაძარი (ფრაგმენტი)

კიდევ სად შეიძლება სპირალური ფორმის გამოყენება?

სვეტი – ცილინდრული ან მრავალწახნაგა ვერტიკალური საყრდენი, რომელიც შედგება ბაზის, ტანისა და კაპიტელისაგან.

კაპიტელი (ლათინური სიტყვიდან „capitellum“ – თავი) – სვეტის დამაგვირგვინებელი ნაწილი.

კანელურები (ფრანგული სიტყვიდან „cannelure“ – ღარი) – სვეტის ვერტიკალური ღარები, ჩაღრმავებები.

კორინთული სვეტი, იონიურთან შედარებით, მსუბუქია. მისი ტანი იონიური სვეტის მსგავსი კანელურებითაა დაფარული. კაპიტელი ისეა გაკეთებული, რომ ოთხივე მხრიდან ერთ-ნაირი ჩანს და ყვავილის ჯამის ფორმა აქვს, რომელიც ზემოთ ფართოვდება.



ძველი ამფითეატრის სცენა (ფრაგმენტი)

შეადარე ძველეგვიპტური და ძველბერძნული სვეტების კაპიტელების ფორმები.

კაპიტელების გამოსახვის წესები



ეს საინტერესოა. 1. ბერძენ მოქანდაკეთა ფანტაზიამ სვეტების ნაცვლად **ადამიანის სკულპტურული ფიგურები** შექმნა.

კარიატიდები (ქალის ფიგურები)

ატლანტები (მამაკაცის ფუგურები)

2. რომაულ არქიტექტურაში სვეტი ნაგებობის მორთულობის ძირითადი ელემენტი იყო. მაგალითად, სახელგანთქმული კოლოსეუმის პირველ იარუსში დორიული ნახევარსვეტები იდგა, მეორეში – იონიური, მესამეში კი – კორინთული.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები).

1. ეცადე, მეგობრებთან ერთად, მოიფიქრო სვეტების პანო. თითოეულმა თქვენგანმა სვეტის თავისი ვარიანტი უნდა მოიფიქროს და დახატოს. ორნამენტების მოტივები შეიძლება ჰგავდეს ნებისმიერ ბუნებრივ ფორმას. შეგიძლიათ გამოიყენოთ ძველი სამყაროს ორნამენტული ხელოვნება, ან ეროვნული ორნამენტები. შემდეგ ამოჭერით სვეტები და საერთო პანოზე დააწებეთ.
2. ეცადე, დახატო დორიული, იონიური და კორინთული სვეტების კაპიტელები.

შეამოწმე შენი თავი

ძველბერძნულ არქიტექტურაში სვეტის სამი სახე არსებობდა: ..., ..., ..., . სვეტის დამაგვირგვინებელ ნაწილს ... ეწოდება. ... სვეტის კაპიტელს სპირალის ფორმა აქვს.

საკვანძო სიტყვები

კაპიტელი
იონიური სვეტი
დორიული სვეტი
კორინთული სვეტი

შეამოწმე ნასწავლი

1. სვეტების რა სახეები არსებობს?
2. სტილიზაციის რა ხერხები გამოიყენებოდა სვეტების მორთულობაში?

გვ. 61-76

ჟანრები სახვით ხელოვნებაში

16. მხატვრული ქმნილებების თემატიკა
17. ადამიანის გამოსახულება მხატვრის შემოქმედებაში
18. სინაზისა და გულმოწყალების სიმბოლო
19. საგანთა სამყარო
20. ბუნების მოტივები

3

16. ჟანრები სახვით ხელოვნებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა თემებია წარმოდგენილი შემოქმედთა ქმნილებებში?
- რა ეწოდება მხატვრული ქმნილებების სახეებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია განსაზღვრული თემები?

1

2

3

1. ოქტაი შიხალიევი. „უზეირ ჰაჯიბეილი“
2. ილგარ აკბეროვი. „ყაყაჩოები“
3. ვაჯია სამედოვა. „გეიგელი“

შენ უკვე იცნობ სახვითი ხელოვნების „ტიპებს“, ანუ ფერწერას, ქანდაკებასა და გრაფიკას. ახლა გავარკვიოთ რა არის ჟანრები.

სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები ჟანრებად იყოფა: **პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი, საყოფაცხოვრებო ჟანრი, ანიმალისტური ჟანრი და ა. შ.**



? განსაზღვრე, სქემის მიხედვით, რა ჟანრებია დამახასიათებე-ლი ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკებისათვის.

ჟანრის ცნება სახვით ხელოვნებაში პასუხობს კითხვას: **რა არის გამოსახული**. იმას, რისი თქმაც მხატვარს გამოსახვისას სურდა, **ნაწარმოების შინაარსი** ეწოდება.

ჟანრი (ფრანგული სიტყვიდან „genre“ – გვარი, სახე) – ხელოვნების სხვადასხვა დარგში ისტორიულად ჩამოყალიბებული შიდა დაყოფა. სახვით ხელოვნებაში, ძირითადი ჟანრები, პირველ რიგში, იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა არის გამოსახული (პეიზაჟი, პორტრეტი და ა. შ.).

სამხატვრო გალერეა

1

2


3

1. ბ. მირზაზადე. „აშუღი ალასგარი“
2. თ. სალახოვი. „ბროწეულები“
3. ე. რზაგულიევი. „შირვანშაჰების სასახლე“

ჟანრებად დაყოფა გვეხმარება, გავიგოთ ცვლილებები შემოქმედთა მიერ სამყაროს აღქმაში, შევადაროთ ერთმანეთს ნამუშევრები შინაარსის მიხედვით, დავფიქრდეთ მათზე.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებების ვარიანტები დამოუკიდებლად მუშაობისათვის.

1. მოაგროვე რეპროდუქციები, რომლებშიც წარმოდგენილია სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ტიპი და ჟანრი. რის მიხედვით განისაზღვრება ჟანრები სახვით ხელოვნებაში?
2. დახაზე ალბომში ცხრილი. ეცადე, სქემის მიხედვით, განსაზღვრო და აღნიშნო ჟანრები სახვით ხელოვნებაში.

ჟანრი	გამოსახვის საგანი	ნაწარმოების შინაარსი	ცნობილი მხატვრები და სურათები
პორტრეტი			
ნატურმორტი			
პეიზაჟი			
საყოფაცხოვრებო			
ანიმალისტური			

შეამოწმე შენი თავი

სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები იყოფა ... . სახვითი ხელოვნების ჟანრებია: ..., ..., ..., . იმას, რისი გადმოცემაც მხატვარს თავისი ნახატით სურს, ნაწარმოების ... ეწოდება.

საკვანძო სიტყვები

შინაარსი
ჟანრი
პორტრეტი
ნატურმორტი
პეიზაჟი

შეამოწმე ნასწავლი

რას ასახავს ჟანრები? რა როლი ეკისრება მათ სახვით ხელოვნებაში? 2. დაფიქრდი, რომელი ჟანრებია დამახასიათებელი ქანდაკებისათვის და რომელი – არა და რატომ? 3. როგორ ახსნი განსხვავებას იმათ შორის, რაც ქმნილებაშია ასახული და რაც მის შინაარსს წარმოადგენს?

17. ადამიანის გამოსახულება მხატვრის შემოქმედებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება ხელოვნების ნაწარმოებს, რომლის მთავარ თემასაც ადამიანის გამოსახულება, მისი ინდივიდუალური თვისებები წარმოადგენს?

შემოქმედთა ქმნილებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის გამოსახულებას. ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრება, ხასიათის თავისებურებები და განწყობა ასახულია **პორტრეტის** ჟანრში.

პორტრეტი დიდი ხნის წინ წარმოიშვა. ხელოვნებამ შემოგვინახა სხვადასხვა დროისა და ხალხების სახეები.

ეს საინტერესოა

- ძველ ეგვიპტეში სახეებს სიმშვიდესა და დიდებულებას ანიჭებდნენ, ყველაფერ შემთხვევითს კი აშორებდნენ. ეს ცხადად ჩანს ქალაქ ფაიუმის მახლობლად აღმოჩენილ პორტრეტებზე (ა). „ფაიუმის პორტრეტებზე“ გამოსახულნი არიან ჩვენი წელთაღრიცხვის I-IV საუკუნეებში მცხოვრები ეგვიპტელები, ბერძნები, რომაელები. ეს პორტრეტები ხის დაფებზე ან ტილოზე იხატებოდა.
- რომში, პირიქით, შემოქმედთა ყურადღება სახის თავისებურებებზე მახვილდებოდა – ყოველი ნაკეცი, ნაოჭი, ნაიარევი ადამიანის ცხოვრების გზას ასახავდა (ბ).

ა



ფაიუმის პორტრეტი. ხის დაფაზე შესრულებული ნახატი

ბ

რომის იმპერატორი კარაკალა. ბიუსტი

როგორ ფიქრობ, შეძლო შემოქმედმა იმ დროის ადამიანების ხასიათის გადმოცემა? დააკვირდი და აღწერე სახეების გამომეტყველება.

გამოსახულების ხასიათის მიხედვით, პორტრეტებს ყოფენ **საზეიმოდ** და **კამერულად**.



პორტრეტი (ფრანგული სიტყვიდან „portrait“, ზედმიწევნით რაიმეს ასახვა) – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გარეგნობის, შინაგანი ბუნების, დამახასიათებელი თვისებების გამოსახვა. პორტრეტი ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის ერთ-ერთი უმთავრესი ჟანრია.

ფაიუმი (არაბული „pa-yom“-იდან) – ლიბიის უდაბნოთი გარშემორტყმული ოაზისი.

საზეიმო და კამერული პორტრეტები

პორტრეტს, რომელზეც ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობაა ასახული, **საზეიმო** ეწოდება. როგორც წესი, ადამიანი მთელი ტანითაა გამოსახული – ან ცხენზე ამხედრებული, ან ფეხზე მდგომი, ან მჯდომარე. ადამიანის ფიგურა არქიტექტურის, ან ბუნების ფონზეა ხოლმე განთავსებული.

I. ბროდსკი. „ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი“

მ. გ. აფშარი. „აბას-მირზა ყაჯარი“

პორტრეტს, რომელზეც ძირითადი ყურადღება ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს ექცევა, **კამერული** ეწოდება. ადამიანს, უფრო ხშირად, წელამდე, მკერდამდე, ან მხრებამდე გამოსახავენ. ფიგურას ნეიტრალურ ფონს უხატავენ.

ლეონარდო და ვინჩი. „მონა ლიზა“ (ჯოკონდა)

რაფაელ სანტი. „ქალი თავსაბურავით“

- სახეების შექმნისას, იზრუნა თუ არა მხატვარმა გარეგნულ, ან შინაგან სილამაზეზე?
- განსაზღვრავს თუ არა მხოლოდ გარეგნული მსგავსება პორტრეტის, როგორც ხელოვნების ნიმუშის, ღირებულებას?
- არის თუ არა გარეგნული მსგავსება დიდ შემოქმედთა პორტრეტებში?

დაიმახსოვრე. კამერული პორტრეტი – ეს არა მხოლოდ გარეგნული ნიშნების ერთობლიობაა, არამედ ადამიანის დანახვის ახალი საშუალება. თუკი საზეიმო პორტრეტში ადამიანის პიროვნების ღირებულების კრიტერიუმი მისი საქმეები იყო (რომელთა შესახებაც დამთვარიელებელი ატრიბუტების მიხედვით იგებდა), კამერულ პორტრეტში პირველ პლანზე გამოდის მორალური თვისებები.

სამხატვრო გალერეა

- განსაზღვრე, ნიმუშებს შორის, რომელია საზეიმო და რომელი – კამერული პორტრეტი. პასუხი დაასაბუთე.
- როგორ გესმის აზრი, რომ ადამიანის გარეგნული იერით შეიძლება მისი შინაგანი ბუნების გადმოცემა.

1. თ. თაღიევი. „სათარ ბაჰლულზადე“
2. ო. სადიკზადე. „ჰურშუდ ბანუ ნათევანი“

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის.

1. გააანალიზე სხვადასხვა დროის მხატვართა ქმნილებები. რა შეიცვალა გამოსახულებებში? როგორ გადმოსცემენ მხატვრები გამოსახული ადამიანის შინაგან მდგომარეობასა და პიროვნულ თავისებურებებს? რა აქცევს პორტრეტს ხელოვნების ქმნილებად? რა არის პორტრეტში მნიშვნელოვანი – გარეგნული თუ შინაგანი მსგავსება?
2. მოძებნე ჟურნალ-გაზეთებსა და ენციკლოპედიებში საზეიმო და კამერული პორტრეტები. ეს პორტრეტები, შეიძლება, ფერწერაში, ქანდაკებასა და გრაფიკაში ჟანრს წარმოადგენდნენ. რა განასხვავებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში შექმნილ პორტრეტებს?
3. მოძებნე შენი ოჯახის ფოტოებს შორის საზეიმო და კამერული პორტრეტები.

შეამოწმე შენი თავი

ხელოვნების ქმნილებებს, რომელთა მთავარი თემაა ადამიანის გამოსახულება და ინდივიდუალური თვისებები ... ეწოდება. პორტრეტებს ყოფენ ... და ... . პორტრეტს, რომელზეც ნაჩვენებია ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობა ... ეწოდება. პორტრეტს, რომელზეც ძირითადი ყურადღება ეთმობა ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს ... ჰქვია.

საკვანძო სიტყვები
პორტრეტი
კამერული პორტრეტი
საზეიმო პორტრეტი

შეამოწმე ნასწავლი

1. რა განასხვავებს კამერულ და საზეიმო პორტრეტებს?
2. საკმარისია თუ არა, პორტრეტების დათვალიერებისას, მსგავსების ცნება?
3. უბრალო მსგავსების გარდა, რა სჭირდება პორტრეტს, რომ ის ხელოვნების ნიმუშად ჩაითვალოს?

18. სინაზისა და გულმოწყალების სიმბოლო

დიალოგი ხელოვნებაზე

- ვისი გამოსახულება იყო მხატვრებისა და მოქანდაკეებისათვის მარადიული მშვენიერების, გულმოწყალებისა და შთაგონების წყარო?

ქალურობა და დედობა მარადიული თემაა სახვითი ხელოვნების ყველა დარგში. სახვითი ხელოვნება უძველესი დროიდან ასხამს ხოტბას დედის სილამაზეს.

ლეონარდო და ვინჩის სურათზე „ბენუას მადონა“ ქალის მოზრდილ ფიგურას მთელი სივრცე უჭირავს, ფონს კი სარკმელი ქმნის, რომელშიც ლურჯი, მოწმენდილი ცა მოჩანს. ბავშვთან თამაშით გართულ ქალს სახეზე სიყვარული და დედობის სიხარული აღბეჭდვია. ღრმა სულიერებითაა აღბეჭდილი დედის სახე მიქელანჯელოს მიერ შექმნილ სკულპტურულ ჯგუფში.

1. ლეონარდო და ვინჩი. „ბენუას მადონა“. 1478. ერმიტაჟი
2. მიქელანჯელო. მადონა ყრმით. 1501-1503. ვროუვეკერკის გალერეა, ბრიუგე

ქალის გამოსახულებამ, **მადონას** თემამ, რომელიც მთავარი იყო რაფაელ სანტის შემოქმედებისთვის, მის ფერწერაში უბადლო, იდეალური ხორცშესხმა ჰპოვა.

დიდი შემოქმედები

ავტოპორტრეტი (ფრაგმენტი სურათისა „ავტოპორტრეტი მეგობართან ერთად“)

რაფაელ სანტი (1483-1520)

იტალიელი ფერმწერი და არქიტექტორი, ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი მსოფლიოს ისტორიაში. დაიბადა კარის პოეტისა და მხატვრის ოჯახში. თერთმეტი წლისა დაობლდა და მასზე ზრუნვა ბიძამ ითავა. ჯერ კარის ფერმწერის, ტიმოთეო ვიტის სახელოსნოში სწავლობს, შემდეგ კი პერუჯინოს სახელოსნოში ხვდება. მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, რაფაელის სახელთან დაკავშირებულია წარმოდგენა ამაღლებულ სილამაზესა და ჰარმონიაზე.

ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე რაფაელმა შექმნა მრავალი დაზგური ნახატი, საყოველთაოდ ცნობილი ფრესკა, შესანიშნავი პორტრეტი. რაფაელი არქიტექტორიც იყო და არქეოლოგიურ გათხრებსაც ხელმძღვანელობდა.

რაფაელის ქმნილებათა სიუჟეტები მრავალფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებულად მას ღვთისმშობლის სახე იზიდავდა. რაფაელს დამსახურებულად უწოდეს „მადონების ოსტატი“. რაფაელის დიდი პოპულარობა იმით აიხსნება, რომ მან შექმნა ყველასათვის გასაგები და მისაღები სტილი.

დიდი მხატვრის სილამაზის იდეალები

ქალის იდეალური სახის სილამაზე პირველად „სიქსტეს მადონაში“ გამოვლინდა. ყველაზე გასაოცარი ამ ტილოში ფერმწერის იდუმალი უნარია, ყველა ხაზი, ფორმა და ფერი არაჩვეულებრივ შესაბამისობაში მოიყვანოს, რათა ყველაფერი ერთ რამეს, მხატვრის უმთავრეს სურვილს მოემსახუროს: გვაიძულოს, გამუდმებით ვუცქიროთ მარიამის სევდიან თვალებს. უზარმაზარი ტილო რაფაელმა პაპ იულიუს მეორის შეკვეთით შექმნა წმინდა სიქსტეს მონასტრის ტაძრის საკურთხევლისათვის.

„სიქსტეს მადონა“. 1513-1514. სურათების გალერეა, დრეზდენი. ფრაგმენტი

კვადრატში ჩახატულ წრეში, პეიზაჟის ფონზე, გამოსახულია ლურჯი მოსასხამით თავშებურვილი ახალგაზრდა ქალი. მადონას დახრილი თავი, მხრებზე მსუბუქად დაშვებული მოსასხამი, ყრმის თავი – ამ წრიული

„მადონა კონესტაბილე“. 1504. ერმიტაჟი

„მადონა სავარძელში“. ფლორენცია. პალაცო პიტი

ხაზების რიტმი ბუნებრივ დასრულებას პოულობს სურათის მრგვალ ჩარჩოში.
ტონდოს ფორმა ამყარებს ფიგურებისა და პეიზაჟის გამომსახველობით ერთობას და მთელ სცენას ჰარმონიულ იერს ანიჭებს. აღორძინების ხანის ოსტატებს უყვარდათ **ტონდოს** ფორმა, რომელიც ხორცს ასხამდა მათ მიერ გამოსახული სამყაროს სისრულესა და ერთობას.

განიხილე რაფაელის ქმნილებები. რომელი გამომსახველობითი ხერხებითაა გადმოცემული სხვადასხვა ასაკის ქალების სახეები?

რაფაელ სანტიმ მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წელი იცხოვრა, მაგრამ მოასწრო, ფერწერით გადმოეცა აბსოლუტური ჰარმონიის, მშვენიერებისა და სიკეთის სამეფო, მან ხორცი შეასხა სრულყოფილი ადამიანის იდეალს.

მადონა – იტალიური სიტყვების „mia donna“-ს, ანუ „ჩემო ქალბატონო“-ს შემოკლებული ვარიანტი. ასე უწოდეს ღვთისმშობელს, ქალს, რომელიც სილამაზის, უბიწობისა და თვინიერების განსხეულებაა.
ტონდო – (იტალიური სიტყვიდან „tondo“ – მრგვალი) – მრგვალი ფორმის ფერწერის ნიმუში ან რელიეფი. უფრო ხშირად, ტონდოს უწოდებენ ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახულებას.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებ-ლად მუშაობისათვის (პასტელის ცარცები, ფერადი ფანქრები).
1.დახატე ქალის სახის ესკიზი. ეცადე, გადმოსცე დამახასიათებელი ასაკობრივი თავისებურებები (სიყმაწვილე, ახალგაზრდობა, სიბერე).
2. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია რაფაელ სანტის შესახებ.



შეამოწმე შენი თავი

ხელოვნების მარადიული თემაა ... გამოსახულება. მრგვალი ფორმის ფერწერის ქმნილებებს ... ჰქვია. იტალიურად ღვთისმოსავი ქალის გამოსახულებას ... უწოდებენ.

საკვანძო სიტყვები
მადონა
ტონდო
ქალი

შეამოწმე ნასწავლი

1. რაფაელის ქმნილებებში მკვეთრადაა გამოხატული ფერწერული სტილის სპეციფიკური ნიშნები: **რიტმულობა, მოხდენილობა, ხაზე-ბის მღერადობა, სახეთა ჰარმონიულობა**. როგორ გესმის ეს?
2. რატომ უწოდებენ რაფაელს „ქალური მშვენიერების მომღერალს“?
3. გაიხსენე, რომელი აზერბაიჯანელი მხატვრების ქმნილებებშია ასახული ქალის სახე?

19. საგნობრივი სამყარო

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება ნახატებს, რომლებზეც ადამიანის საგნობრივი სამყაროა გამოსახული?

მხატვრებს ყოველთვის უყვარდათ მათ გარშემო არსებული საგნების, საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახვა. ამით ისინი თავისი დროის ცხოვრებას გვიშლიან თვალწინ. ძველი ეგვიპტისა და შუამდინარეთის მოხატულობებში ვხედავთ მეფეთა და მეომართა მრავალრიცხოვან საგნებს, ასევე ნაირგვარ ჭურჭელს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს.

ძველი საბერძნეთის ოსტატთა მოხატულობები არ შემორჩენილა.

რომში კედლებს ასევე ამშვენებდნენ მოხატულობებითა და მოზაიკით. რომაელებს უყვარდათ ნადიმების გამოსახვა – ნაყოფით სავსე ჯამების, თევზეულის, მცენარეულისა და ფრინველების.

ადამიანის საგნობრივი სამყაროს ამსახველი მოხატულობები

ძველეგვიპტური მოხატულობები რომაული მოხატულობები

ყოველ ეპოქას, ყველა ხალხს ჰქონდა განსაკუთრებით საყვარელი ნივთები და მათი გამოსახვის საბაბი თუ მიზეზი.

? განსაზღვრე გამოხატვის საშუალებები, რომლებიც ძველებურ კედლის მოხატულობებს გამოარჩევს.

დროთა განმავლობაში, ნახატებს, რომლებზეც მხოლოდ უსულო საგნები და ბუნების საბოძვარი იყო გამოსახული, **ნატურმორტი** ეწოდა. როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, ნატურმორტი დასავლეთევროპულ ხელოვნებაში მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. სიტყვა „ნატურმორტი“ ნიშნავს „მკვდარ ბუნებას“, მაგრამ იგი იმ საგნებისაგან შედგება, რომლებიც ცოცხალი, ჩვენ გარშემო არსებული სინამდვილის ნაწილია. ამიტომ, უფრო ზუსტი სახელწოდებაა, ინგლისურენოვან ქვეყნებში მიღებული, „still life“ ან გერმანული „stilleben“ – წყნარი ცხოვრება“.

ნატურმორტი – სახვითი ხელოვნების ჟანრი, ან ამ ჟანრის ნიმუში. თავად საგნების ერთობლიობასაც, რომლებიც ასახვის ობიექტია, ასევე ნატურმორტი ჰქვია. ის შეიძლება შედგებოდეს არა მხოლოდ უსულო საგნებისაგან, არამედ ბუნების ფორმებსაც შეიცავდეს.

მარტივი გეომეტრიული ფიგურების საფუძველზე, შესაძლებელია ბუნების ყველა ქმნილებისა და მთელი საგნობრივი სამყაროს აგება. ყველა დროის მხატვრები სწორედ ასე წყვეტდნენ ფორმის გაგების სირთულეებს.

ეს საინტერესოა. ფრანგული ნატურმორტის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ჟ. ბ. შარდენის – ამ ჟანრის ოსტატის – შემოქმედება. მის კომპოზიციებში გამოსახულია უბრალო, არაფრით გამორჩეული ხივთები, რომლებიც თავიანთ პატრონებზე „გვიამბობენ“. შარდენის ფერწერისათვის დამახასიათებელია რუხი-ვერცხლისფერი ტონის ერთიანობა, რეფლექსებისა და ოდნავშესამჩნევი ელფერების სიუხვე, რომლებიც შუქის ჩრდილში გადასვლის ჰარმონიზაციას ახდენს.

სამხატვრო გალერეა

განსაზღვრე ნატურმორტებში კომპოზიცია, პერსპექტივის კანონები, შუქ-ჩრდილი და კოლორიტი.

„სპილენძის ავზი“

რომელი მარტივი გეომეტრიული ფიგურებისაგან შედგება საგნები.

ახსენი ცვლილებები საგნების ფორმაში, ჰორიზონტის დონის მიხედვით.

აჩვენე საგნების ზედაპირზე შუქი, ჩრდილი, ნახევარჩრდილი, ათინათი, რეფლექსი, დაცემული ჩრდილი.

როგორი განწყობის შექმნა შეუძლია ფერს ნახატში? განსაზღვრე ნახატის კოლორიტი.

მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილი ნატურმორტები. მის ქმნილებაში „ნატურმორტი ხელოვნების ატრიბუტებით“ ის ხოტბას ასხამს მხატვრის პროფესიას, მის შემოქმედებით საქმიანობას. ეს ნახატი XVIII საუკუნეში, სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის შენობისათვის შეიქმნა.

„ნატურმორტი ხელოვნების ატრიბუტებით“

ისაუბრე საგანთა განლაგებაზე, მათ შორის მანძილზე, სიდიდეთა თანაფარდობაზე.

აზერბაიჯანში ნატურმორტის განვითარება უკავშირდება ისეთი მხატვრების სახელებს, როგორებიც არიან: თ. სალახოვი, თ. ნარიმანბეკოვი, ბ. მირზაზადე, ს. ბაჰლულზადე და ა. შ.





1 2 3

1. თ. სალახოვი. „ნატურმორტი წითელი წიწაკით“. 2. ბ. მირზაზადე. „ნატურმორტი ცისფერ ფონზე“. 3. ს. ბაჰლულზადე. „ნატურმორტი შემახური სუფრით“

- რა გრძნობების გამოხატვა სურდა თითოეულ მხატვარს?
- რომელ გამომსახველობით ხერხებს მიმართეს მათ?

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (გუაში, აკვარელი, A3 ფორმატის ქაღალდი).

1. წინ დაიდგი სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი ან საგნები, რომლებსაც სკოლაში და შინ იყენებ. ნახატში, გეომეტრიული ფუგურებით, ააგე თითოეული მათგანის კონსტრუქცია.
2. დახატე ნატურმორტი (მხიარული ან სევდიანი, იდუმალი ან საზეიმო), რომელიც შენს განწყობას ასახავს. შეგიძლია, ნატურმორტი მონოტიპიის („ანაბეჭდი“) ტექნიკით შექმნა.
3. შექმენი ნატურმორტი აპლიკაციის ტექნიკით (ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, ნებო). გამოჭერი საგნების სილუეტები, მოძებნე კომპოზიციური ცენტრი და მოიფიქრე, როგორ განალაგებ მათ. გაითვალისწინე, რომ საგნები შეიძლება მდებარეობდეს წინა და უკანა პლანზე.

შეამოწმე შენი თავი

საგნობრივი სამყაროს გამოსახვას ... ეწოდება. ნატურმორტი არის სახვითი ხელოვნების ... . ნახატზე საგნების გამოსახვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ..., ..., და ... .

საკვანძო სიტყვები

ჟანრი
ნატურმორტი
კონსტრუქცია
ფორმა
შუქჩრდილი

შეამოწმე ნასწავლი

1. რა მნიშვნელობა აქვს ნახატისათვის საგანთა ფორმის აგებულების ანალიზს?
2. რა არის კონსტრუქცია და როგორ გამოვავლინოთ საგნის კონსტრუქცია?
3. რა როლს ასრულებს შუქი და ფერი ნატურმორტში?

დაფიქრდი, რომელი გამოსახულებაა სწორად შესრულებული?



ა ბ გ

20. ბუნების მოტივები

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება ნახატს, რომელზეც ბუნებაა გამოსახული?

ბუნება ყოველთვის ძლიერ აღელვებდა ადამიანს. ძველად ბუნებას აღმერთებდნენ, მას ეთაყვანებოდნენ. ბუნების ელემენტებს უკვე კლდეების მხატვრობაში ვხვდებით. პირველყოფილი ოსტატები მღვიმეების კედლებზე სქემატურად გამოსახავდნენ მდინარეებსა და ტბებს, ხეებსა და ლოდებს.

დროთა განმავლობაში, ბუნების ამსახველ ქმნილებას **პეიზაჟი** ეწო-და. პეიზაჟი, პირველ რიგში, სივრცის გამოსახვაა, რომლის გაგებაც სხვადასხვა დროში განსხვავებული იყო.

ეს საინტერესოა. ძველ ეგვიპტეში (ა) გამოსახავდნენ იმას, რაც საგნობრივი იყო, სიშორეს კი, მიწისა და ჰაერის განგრძობადობას, არ გადმოსცემდნენ, თითქოს ის არც არსებობდა, პირობითი იყო.

ძველ საბერძნეთსა და რომში (ბ, გ) ადამიანის გამოსახულება სივრცობრივი გახდა. ნახატებზე, ადამიანთა ქმედებებს შორის, სივრცობრივი კავშირები გაჩნდა. მოგვიანებით, რომში, კედლების მოხატულობაში გაჩნდა თავისებური პეიზაჟი, რომელიც კედელს ამკობდა და იოლად გადადიოდა ორნამენტში.

პეიზაჟები ძველ მოხატულობებში

ა

ბ

გ

ეს საინტერესოა. პირველად პეიზაჟური ფერწერა, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში, ძველ ჩინეთში გაჩნდა. ძველი ჩინეთის მსოფლმხედველობა ბუნებისა და მისი ძალების პატივისცემას მოითხოვდა. მთები, წყალი, ხეები და ყვავილები ჩინელებისთვის სულიერი სიმბოლოები იყო.

გაიხსენე. **პერსპექტივა** – სწავლება გამოსახულების სიბრტყეზე სივრცის გადმოცემის ხერხების შესახებ. **ხაზოვანი პერსპექტივის** ძირითად წესებს შენ უკვე იცნობ:

- მაყურებელს დაშორებული საგნები ზომაში მცირდება;
- პარარელური ხაზები ერთდება **ჰორიზონტის ხაზზე** (ჩვენი თვალების ხაზზე), **შეერთების წერტილში**.

არსებობს მაღალი და დაბალი **ჰორიზონტის ხაზი** და ძალზე მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ეს გამომსახველობის ხერხია. **შეერთების წერტილის** მდებარეობაც ძლიერ გავლენას ახდენს გამოსახულების ხასიათზე. შეერთების წერტილის ცენტრიდან მარჯვნივ ან მარცხნივ გადანაცვლება, გამოსახულებას მოძრაობის შეგრძნებას ანიჭებს (ა,ბ,გ).



სივრცის გამოსახვისათვის ასევე საჭიროა **ჰაეროვანი პერსპექტივის** ცოდნა:

- პლანების დაშორების კვალდაკვალ ტონი ინტენსივობასა და კონტრასტულობას კარგავს, ბაცდება.
- თბილი ფერები ამოიზიდება და უფრო ახლო გვეჩვენება, ცივი ფერები კი – უფრო შორი.

მრავალნაირი პეიზაჟები არსებობს. პირველ რიგში, შესაძლებელია მათი სიუჟეტურად დაყოფა, რასაც **პეიზაჟის მოტივს** უწოდებენ ხოლმე და რაც მაშინვე მუსიკას გვახსენებს. ეს შეიძლება იყოს გზის, მდინარის, ტყის, შორეთის მოტივი, ზღვის ან ქალაქის პეიზაჟი.

პეიზაჟი (ფრანგულად „paysage“, სიტყვიდან „payes“ – ქვეყანა, ადგილი) – სახვითი ხელოვნების ჟანრი, რომელშიც გამოსახვის მთავარი საგანია ბუნება. პეიზაჟი ფერწერის ან გრაფიკის ნიმუშია.
მოტივი (ფრანგულად „განზრახვა“), ანუ მიზეზი, მხატვრის ინტერესის ობიექტი.

პეიზაჟები, რომელთა საფუძველი ერთი და იგივე მოტივია, ამის მიუხედავად, ბუნების სრულიად განსხვავებულ გამოსახულებას ქმნიან.

სამხატვრო გალერეა

დააკვირდი ა. დიურერის აკვარელის ტექნიკით შესრულებულ პეიზაჟებს. რა მოტივებია ამ პეიზაჟებში?

„პეიზაჟი წისქვილით“

- **ახსენი:** რა ურთიერთკავშირია სივრცესა და მანძილს შორის პეიზაჟებში.

„არკოს მთის ხედი“



ბ. ქანგარლი.
„ძეგლი ნახიჩევანში“

ბ. მირზაზადე. „ესტაკადაზე“

- როგორ გადმოსცეს მხატვრებმა სივრცის გამოსახულება სიბრტყეზე? რომელ ნახატზეა ჰორიზონტის ხაზი მაღალი და რომელზე – დაბალი?
- ისაუბრე არა მხოლოდ ხაზოვან პერსპექტივაზე, არამედ პეიზაჟისტი მხატვრების ნამუშევრებში არსებულ ჰაეროვან პერსპექტივაზეც.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (გუაში, აკვარელი, პასტელის ცარცები).

1. დააკვირდი ბუნების მდგომარეობას – იგი ცვალებადი და მრავალფეროვანია. შექმენი გაზაფხულის ბუნების გამოსახულება. არ დაგავიწყ-დეს, თავდაპირველად ჰორიზონტის ხაზი გამოსახო. აჩვენე ცის, მიწის, წყლის, ხეების ხასიათი და ფერი.
2. შექმენი ესკიზი თემაზე „გზა, რომელზე გავლასაც ვისურვებდი“ ან „პეიზაჟი, რომლის ნახვასაც ვისურვებდი (მომავლის, აწმყოსა და წარსულის სურათი)“.
3. დახატე პეიზაჟი ცივი ან თბილი კოლორიტით. შეარჩიე ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ფორმატი, მაღალი (შორს გადაჭიმული მიწების საჩვენებლად) ან დაბალი (ცის სივრცეების საჩვენებლად) ჰორიზონტის ხაზი.

შეამოწმე შენი თავი

ბუნების გამოსახვას ... ეწოდება. პარარელური ხაზები, რომლებიც გვშორდება, ... ერთდება. პეიზაჟები შეგვიძლია დავყოთ სიუჟეტის მიხედვით, რომელსაც ... ეწოდება.

საკვანძო სიტყვები

პეიზაჟი
პერსპექტივა
მოტივი
ჰორიზონტის ხაზი
შეერთების წერტილი

შეამოწმე ნასწავლი

1. ხედვის რა წერტილი შეარჩიეს მხატვრებმა ნახატზე სივრცის გადმოსაცემად?
2. როგორ აღიქვამ მხატვრების ნახატების შინაარსს? როგორ გადმოსცემენ ისინი ბუნების სილამაზისა და დიდებულების მათეულ გაგებას?

გვ. 77-96

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სახეები

21. ძველი სამყაროს კერამიკა
22. კერამიკული ლარნაკწერა
23.მეტალის მხატვრული დამუშავება
24. საიუველირო ხელოვნება
25. მსოფლიო სახვითი ხელოვნების საგანძური

4

21. ძველი სამყაროს კერამიკა

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება ხელით ნაძერწ ჭურჭელს და ამ მასალით შექმნილ ნაკეთობებს?

კაცობრიობის ერთ-ერთი პირველი ღირებული მიღწევა კერამიკა იყო. **მეთუნეობა** მდიდარი ისტორიის მქონე უძველესი ხალხური ხელობაა. თავდაპირველად, თიხის ჭურჭელს ხელით ძერწავდნენ, შემდეგ კი გაჩნდა მეთუნის მორგვი.

შუმერული ხელოვნება **კერამიკული ნაკეთობების** მოხატულობით იწყებოდა. ადრეული შუმერული კერამიკისათვის დამახასიათებელია გეომეტრიული ორნამენტები და ფორმის დახვეწილი გრძნობა, ზოგ შემთხვევაში კი – ცხოველების სტილიზებული გამოსახვა. იმ დროის კერამიკას ღია ფონი აქვს და მოხატულია წითელი, შავი, ყავისფერი და იისფერი ორნამენტებით.

დამწერლობის გამოგონება შუმერული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო. შემდგომში, ასეთ დამწერლობას **ლურსმული** ეწოდა.

იცი თუ არა? შუმერები ძველი ბაბილონის (დღევანდელი ერაყის) მიწაზე მცხოვრები პირველი ხალხია, რომელმაც კულტურის მაღალ დონეს მიაღწია. შუმერებმა დააშრეს ჭაობები, ისწავლეს ადიდებული მდინარეების რეგულირება და დაეუფლნენ მიწათმოქმედებას. შუმერებს მიეწერებათ ბევრი გამოგონება, მათ შორის ბორბლის, დამწერლობის, სოფლის მეურნეობის იარაღების, მეთუნის მორგვის. შუმერულ ხელოვნებაში არ არსებობდა ლურჯი ფერი (ის მხოლოდ ფინიკიაში გაჩნდება, როცა ზღვის წყალმცენარეებისაგან ინდიგოს საღებავის მიღებას ისწავლიან), მხოლოდ ქვა ლაზურიტის ფერი იყო ცნობილი. ასევე არ ჰქონდათ სუფთა მწვანე ფერი – შუმერულ ენაში მხოლოდ ყვითელ-მწვანე (სალათისფერი), გაზაფხულზე ახლადამოსული ბალახის ფერის აღმნიშვნელი სიტყვა არსებობდა.

თიხის ფირფიტები შუმერული, ლურსმული დამწერლობით. სახელმწიფო მუზეუმი, ბერლინი, გერმანია

ეს საინტერესოა. ფართოდ ცნობილია ურუქში ნაპოვნი, ნაყოფიერების ქალღმერთისადმი მიძღვნილი **„ინანას ჭურჭელი“.** ჭურჭელი **სამ რეგისტრად (დონედ)** იყოფა. თუკი ზემოდან ქვემოთ ავუყვებით, მასზე მთელ „მოთხრობას“ წავიკითხავთ.



„ინანას ჭურჭელი“

ზედა რეგისტრი – მოქმედების ბოლო ფაზაა, სადაც პროცესიას ეგებებიან ქურუმები და ქურუმი ქალი, ქალ-ღმერთ ინანას სახით.

შუა რეგისტრი ასახავს ჭაბუკების მსვლელობას, რომლებსაც, ღმერთებისათვის შესაწირად, მიაქვთ ლანგრები ხილით, თასები, ჭურჭლეული, მიჰყავთ ცხვრები.

ქვედა რეგისტრი ასახავს რიტუალის ჩატარების ადგილს – ტალღოვანი ხაზებით გამოსახულ პირობით მდინარეს, თავთავებსა და პალმებს.

ა

ბ

ზედა (ა) და შუა (ბ) რეგისტრის ფრაგმენტები

ძალზე მრავალფეროვანია ეგვიპტური კერამიკა. მეთუნეები ან პირდაპირ ნაკეთობის რბილ თიხაზე დაიტანდნენ ხოლმე ნახჭებს, ან საღებავით ხატავდნენ ზედ. ოსტატებმა ისწავლეს ქოთნებისა და ჭურჭლეულის სხვადასხვა სცენებით მოხატვა. გვხვდება გეომეტრიული და ყვავილოვანი ორნამენტები, ვაზის, ხეების, ჩიტების, ცხოველების გამოსახულებები.

ძველი ეგვიპტის კერამიკული ნაკეთობები

მეთუნის მორგვი უდიდესი მიღწევა იყო. მისით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ფორმის სიმეტრიული, თანაბრად გაფართოებული ან, პი-რიქით, შევიწროებული, ნაკეთობების შექმნა.

ეს საინტერესოა. თიხა – ადამიანის მიერ შექმნილი პირველი მასალა.

1. ერთხელ, ჩამქრალ კოცონთან ნაცრის გაქექვისას, ადამიანმა შენიშნა, რომ თიხნარი, რომელსაც საოჯახო ჭურჭლის დასამზადებლად იყენებდა ხოლმე, სითბოს ზეგავლენით ქვასავით გამაგრებულიყო. მას შემდეგ ადამიანმა, მეტი სიმტკიცისათვის, თიხის ნაკეთობების გამოწვა დაიწყო.
2. თუკი თიხის ჯამს ხელებს შემოვაწყობთ, ვიგრძნობთ, რომ, თიხის გათბობის კვალდაკვალ, თავს უკეთ, უფრო მშვიდად ვგრძნობთ. ეს იმიტომ ხდება, რომ თიხა უარყოფით ენერგიას შთანთქავს და, ამავ-დროულად, გვავსებს მზის, წყლის, ქარისა და კოსმოსის ენერგიით.

კერამიკა (ბერძნული სიტყვიდან „keramos“ – თიხა) – თიხის, ქვიშისა და სხვა ბუნებრივი მასალის შენარევებისაგან დამზადებული მასალა.
ლურსმული დამწერლობა – რბილ თიხაზე წერის სისტემა, რომელსაც შუა-მდინარეთის ხალხი იყენებდა. ხის ჯოხის დაჭერით, იწერებოდა ნიშნები, რომლებიც ლურსმნებს წააგავდა.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (თიხა, პლასტილინი, საძერწი ცომი).

1. გამოძერწე მარტივი და, ამავე დროს, ყოველდღიურობაში აუცილებელი ჭურჭელი. ჭურჭელი რომ ლამაზად გამოიყურებოდეს, მისი ორნამენ-ტებით მორთვაა საჭირო – ან უნდა ამოჩხაპნო, ან მოხატო. ეცადე, არა მხოლოდ ტრადიციული ორნამენტებით – ნახჭებით და ყვავილებით – მორთო, არამედ სიუჟეტური ნახატებითაც – ანდაზებითა და სიტყვა-თქმებით. არც ეროვნულ თემაზე შექმნილი ნახატები უნდა დარჩეს ყუ-რადღების მიღმა.

შეამოწმე შენი თავი

... ერთ-ერთი უძველესი ხალხური ხელობაა. ადამიანის მიერ შექმნილი პირველი მასალა იყო ... . შუმერებმა გამოიგონეს დამწერლობა, ისინი ... წერდნენ. დამწერლობის გამოგონება, რომელსაც ... ეწოდება, შუმერული ხელოვნების მიღწევაა. ეგვიპტურ კერამიკას ... ამკობდნენ.

საკვანძო სიტყვები
მეთუნეობა
კერამიკა
ლურსმული
თიხა
თიხის ფირფიტა
ნახჭი

შეამოწმე ნასწავლი

1. კერამიკის რომელ სახეებს იცნობ?
2. როგორ ფიქრობ, კიდევ სად შეიძლება კერამიკის გამოყენება?

22. კერამიკული ლარნაკწერა

დიალოგი ხელოვნებაზე

- რას გადასცემდნენ ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულს ძველ საბერძნეთში? რისგან ამზადებდნენ ამ ჭურჭელს?

მეთუნეობა, რომლის მთავარი მასალა თიხა იყო, ხელოვნების ყველაზე საინტერესო დარგს წარმოადგენდა ძველ საბერძნეთში. მეთუნის მორგვზე გაკეთებულ ჭურჭელს ორნამენტებით ამკობდნენ, ქმნიდნენ ლარნაკებს შავფიგურიან და წითელფიგურიან სტილში. ძველბერძნული სახვითი ხელოვნება, ძირითადად, წარმოდგენილია ლარნაკწერით. ყველაზე ადრეული იყო გეომეტრიული სტილი. შემდეგ გაჩნდა შავფიგურიანი სტილი. ყველაზე ლამაზ და სრულქმნილ სტილად კი წითელფიგურიანი ითვლებოდა.

გაეცანი

ატიკური* ამფორა*

გეომეტრიული ლარნაკწერა. გეომეტრიული სტილის ლარნაკწერისათვის დამახასიათებელია მოხატულობის სიმჭიდროვე და სიმკვეთრე. იგი სრულად ფარავს ჭურჭლის ზედაპირს. ორნამენტი ზოლებადაა განლაგებული და შედგება მეანდრების, ჯვრებისა და წრეწირებისაგან.

შავფიგურიანი ამფორა

შავფიგურიანი ლარნაკწერა. აქ გამოსახულების მოტივები იყო ადამიანთა ფუგურები, ნადიმები, ბრძოლები, მითოლოგიური სცენები. ჭურჭლის ყელსა და ძირს ორნამენტებით ამკობდნენ, მათ შორის, მცენარეული ორნამენტებითაც. თეთრი ფერი პირველად გამოიყენეს, რათა გამოესახათ კანის სითეთრე ქალის ფიგურაში.

წითელ-ფიგურიანი ამფორა

წითელფიგურიანი ლარნაკწერა. შავად იღებებოდა ფონი, ფიგურები კი შეუღებავი რჩებოდა. წითელფიგურიან ლარნაკებზე გვხვდება ყოველდღიური ცხოვრების ჩანახატები, მითოლოგიური სიუჟეტები, ქალების გამოსახულებები, და მეთუნეთა სახელოსნოების ინტერიერი.

? განმარტე გეომეტრიული, შავფიგურიანი და წითელფიგურიანი ლარნაკწერის მსგავსება და განსხვავება.

ატიკა – შუა საბერძნეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.
ამფორა – ღვინისა და ზეთის შესანახი მაღალი ჭურჭელი.

ეს საინტერესოა. ძველბერძნული კერამიკის სიუჟეტური მოხატულობა ძველი ბერძნების ცხოვრების ერთგვარი ენციკლოპედიაა, მათი ყოფის, კულტურისა და მითოლოგიის შესწავლის წყარო. ლარნაკების მოხატულობა მოგვითხრობს ნადირობებსა და ბრძოლებზე, პროცესიებსა და ცეკვებზე.

გამოსახულებები და მოხატულობები, რომლებიც ძველბერძნულ ლარნაკებს ამშვენებს

? დააკვირდი და ისაუბრე ძველბერძნული ლარნაკების ორნამენტებსა და სიუჟეტურ კომპოზიციებზე.

ძირითადი მოხატულობები: მეანდრი, კრეტული ტალღა, პალმეტა.
ორნამენტები: რიტმი ჰორიზონტალურად იგება.
ფერთა გამა: ჭარბობდა ერთგვაროვანი ლურჯი, წითელი, მეწამული, მწვანე, ყვითელი, ყავისფერი და, განსაკუთრებით, თეთრი ფერები.



ცნობილი ბერძენი მეთუნის, ნიკოსთენეს წარწერა

ორნამენტებისა და სიუჟეტების გარდა, ლარნაკებს წარწერებითაც – მეთუნეებისა და ლარნაკმწერების სახელებითა და გვარებით – ამკობდნენ.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის
(გუაში, აკვარელი, A3 ფორმატის ქაღალდი)



1. დახატე ნატურმორტი ძველბერ-ძნული კერამიკით. ლარნაკების „მოხატვისას“ შეგიძლია, ეს ორნამენტები გამოიყენო.



2. გამოსახე სიუჟეტი შავფიგურიანი ან წითელფიგურიანი სტილით ნებისმიერი ფორმის ჭურჭელზე.

შეამოწმე შენი თავი

ძველ საბერძნეთში სამი სახის ... ლარნაკწერა არსებობდა. ყველაზე ადრეული სტილია ... . ყველაზე ლამაზ და სრულყო-ფილ სტილად ითვლებოდა ... . მეთუნის მორ-გვზე ნაკეთებ ჭურჭელს ... ამკობდნენ.

საკვანძო სიტყვები

კერამიკა
ორნამენტი
გეომეტრიული სტილი
წითელფიგურიანი სტილი
შავფიგურიანი სტილი

შეამოწმე ნასწავლი

1. როდის და სად არსებობდა და ვითარდებოდა შავფიგურიანი სტილი?
2. რა ეწოდებოდა გეომეტრიულ ორნამენტებს, რომლებითაც მეთუნეები თავიანთ ჭურჭელს ამკობდნენ?

23. მეტალის მხატვრული დამუშავება

დიალოგი ხელოვნებაზე

- ამ მასალის ნაკეთობებზე ნახჭები დაიტანება. ძველად მეომრები თავდასაცავად იცვამდნენ ამ მასალისაგან დამზადებულ საგანგებო ტანსაცმელს. რა მასალა იგულისხმება?

ადამიანის მიერ აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი მასალაა **მეტალი**, რომელიც დღემდე უმნიშვნელოვანესია, როგორც ყოველდღიურობაში, ისე სამხედრო საქმეში. ძველ სამყაროში ეს მეტალები იყო: ვერცხლი, ოქრო და სპილენძი. მეტალი ასევე ცნობილია, როგორც მასალა, რომლისაგანაც იქმნებოდა საიუველირო ნაკეთობები, სამშვენისები, დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები და არქიტექტურული დეტალები. მეტალის დამუშავების ამ დარგს **მხატვრული** ეწოდება.

მეტალის მხატვრული დამუშავების უძველესი სახეა **თეგვა**. სხვა ტექნიკურ მეთოდებთან შედარებით, ეს ყველაზე მარტივი ხერხია. ოსტატები ჩაქუჩითა და ბასრი საჭრისით მუშაობენ.

მეტალის მხატვრული დამუშავების ძირითადი ხერხები	
თეგვა	ნაკეთობის ზედაპირზე **იჭედება** რელიეფური გამოსახულება
გრავირება	ნაკეთობის ზედაპირზე **ამოიჭრება** ნახატები, ნახჭები, წარწერები და სხვადასხვა გამოსახულებები
კვერვა	მექანიკური დამუშავება, რომლის დროსაც **გახურებული** მეტალი **სასურველ ფორმას** იღებს
ჩამოსხმა	სხმულების მიღება გამდნარი მასალის სამსხმელო ფორმაში **ჩასხმით**

თეგვა ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში იყო ცნობილი. მხატვრულად დამუშავებული მეტალის პირველი ნიმუშები შუამდინარეთში გვხვდება.

ურის აკლდამაში ნაპოვნი ნაკეთობები

1

2

3

1. დეკორატიული არფა. ხარის თავი (ოქრო და ლაზურიტი). 2. შუმერი მეფის ოქროს ხანჯალი. 3. შუმერული ოქროს ჩაფხუტი

ძველ ეგვიპტეში მეტალისაგან დიდებულ პორტრეტებს, საიუველირო სამშვენისებსა და სასმისებს ამზადებდნენ.

1

2

3

1. ფარაონ ტუტანხამონის საფლავის ოქროს ნიღაბი. 2. ტუტანხა-მონის ოქროს ტახტი. 3. თუთმოს III ცოლის განძი. ოქრო.

უხსოვარი დროიდან, საბერძნეთში მეტალის ნივთებს მითოლოგიური სცენებით, მცენარეული ორნამენტებითა და ნატურმორტებით ამკობდნენ, რომლებიც ჩამოსხმის, თეგვის, მოჩუქურთმებისა და გრავირების ტექნიკებით სრულდებოდა.

1. სფეროს ფორმის ოქროს თასი რელიეფურად გამოსახული სცენებით სკვითური ცხოვრებიდან
2.ოქროს ჩაფხუტი
3.ირმის თავის ფორმის ოქროს რიტონი

1

2

3

მხატვრულად დამუშავებული მეტალის საუკეთესო რომაულ ნიმუშებს წარმოადგენდა ადამიანების მოცულობითი გამოსახულებები, ანუ მრგვალი ქანდაკება. მოქანდაკეები იყენებდნენ ბრინჯაოს, ოქ-როს, ვერცხლს, რკინას და ტყვიასაც კი.

ქანდაკების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია როდოსის კოლოსი – მზის ღმერთის გიგანტური ქანდაკება, რომელიც ეგეოსის ზღვაში, თანა-მედროვე თურქეთის ნაპირებთან მდებარე კუნძულ როდოსის საპორტო ქალაქში იდგა. კოლოსმა 65 წელი გაძლო, მერე კი მიწისძვრამ დაანგრია. ღმერთის 36 მეტრიანი ბრინჯაოს დიდებული ქანდაკება მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად ითვლებოდა ძველ სამყაროში.

ჩვენამდე მოღწეულ ბრინჯაოს ძეგლთაგან ყველაზე გამორჩეულია ცხენზე ამხედრებული მარკუს ავრელიუსის ქანდაკება.

1. როდოსის კოლოსის – მზის ღმერთის ქანდაკება
2. იმპერატორ მარკუს ავრელიუსის ქანდაკება

ეს საინტერესოა. სიტყვა „მეტალი“ წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან „მეტალონ“ – მაღარო. დროთა განმავლობაში, მაღაროში მოპოვებულ ნივთიერებასაც მეტალი უწოდეს.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, რომაელებმა შექმნეს ანტიკურ სამყაროში ყველაზე სრულყოფილი **შეიარაღება**, რომელიც გამოირჩეოდა სიმტკიცით, საიმედოობითა და საუკეთესო საბრძოლო თვისებებით. რომაული საჭურველი რკინისაგან მზადდებოდა. მეტალის ფირფიტების ჯავშანი, რომელიც მკერდსა და ზურგს იცავდა, დაფარული იყო ნათეგით – მასზე მოჩანდა ბერძნული მითოლოგიის ფანტასტიკური ურჩხულის, მედუზა გორგონას თავი და ფრთიანი გრიფონები. ასეთი საზეიმო ჯავშანი შეიძლებოდა ვერცხლისაგან დაემზადებინათ და ოქროთიც კი მოევარაყებინათ.



საჭურველასხმული იმპერატორის ტორსი. რომი

მეტალის მხატვრული დამუშავების აზერბაიჯანელმა ოსტატებმა, სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, ხელოვნების უნიკალური ნიმუშები შექმნეს.

აზერბაიჯანელ ოსტატთა სპილენძის ნაკეთობები გამოირჩეოდა ფორმათა დიდი მრავალფეროვნებით, ორნამენტების სიმდიდრითა და სიუხვით.

აზერბაიჯანის მეტალის ნაკეთობათა ძველი ნიმუშები

1. საბრძოლო ნიღაბი. თეთრბატკნიანთა სახელმწიფო
2. შირვანშაჰების მბრძანებლის სახელობითი ჩაფხუტი
3. ბრინჯაოს ქვაბი. შირვანშაჰების სახელმწიფო

1 2 3

1. გაბლამა-ყაზანი
2. შერბეთ-გაბი (შერბეთის თასი)
3. აფტაფა (წყლის დოქი)

ნათეგი მეტალის ნაკეთობათა რთული ორნამენტები თვალწინ გვიშლის აზერბაიჯანული ხელოვნების ღრმად ეროვნულ ტრადიციებს, ოსტატთა ვირტუოზობასა და მხატვრულ ნიჭს.

გამოიყენე ნასწავლი



დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (პლასტილინი, თიხა, აკვარელი).

1. გამოძერწე აზერბაიჯანელი ოსტატების მიერ შექმნილი სპილენძის ნაკეთობები. ეცადე, აჩვენო ფორმა, ამოკაწრე მათზე სხვადასხვა სახის ორნამენტები.
2. დახატე აზერბაიჯანული ნათეგი მეტალის ნაკეთობების ნატურმორტი. ნატურმორტის კომპოზიციის დაცვისას, სწორად ააგე საგნების კონსტრუქცია. მოხატე ისინი ორნამენტებით და გააფერადე აკვარელის ტექნიკით.
3. გამოძერწე პლასტილინისაგან მხატვრულად დამუშავებული მეტალისაგან დამზადებული ნივთი, რომელიც ნებისმიერ ძველ კულტურას ეკუთვნის და რომელიც შენ მოგეწონა.

შეამოწმე შენი თავი

ერთ-ერთი უძველესი მასალა, რომელიც დღემდე უმნიშვნელოვანესია ყოველდღიურობასა და სამხედრო საქმეში არის ... . მეტალის დამუშავების უძველესი სახეა ... . აზერბაიჯანელ ოსტატთა მიერ დამზადებული სპილენძის ნაკეთობები გამოირჩეოდა ... .

საკვანძო სიტყვები
თეგვა
მეტალი
ორნამენტი

შეამოწმე ნასწავლი

- თეგვის გარდა, მხატვრულად დამუშავების კიდევ რომელ სახე-ებს იცნობ?

24. საიუველირო ხელოვნება

დიალოგი ხელოვნებაზე

- რა ეწოდება ძვირფასი მეტალებისაგან დამზადებულ ნაკეთობებს?

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეა **საიუველირო საქმე**. ძველად საიუველირო ნაკეთობები თავისებური ნიშნები იყო, რომლებიც მათი მფლობელის სოციალურ სტატუსს უსვამდა ხაზს და, ამასთანავე, მაგიური მნიშვნელობაც ჰქონდა.

შუმერები ძველ კულტურაში სახელგანთქმული იუველირები იყვნენ. ნაკეთობების შექმნისას, ოსტატები სამი ფერის კომბინაციას იყენებდნენ: *ლურჯისათვის – ლაზურიტს, წითლისათვის – სერდოლიკს და ყვითლისათვის – ოქროს.*

ძველი ეგვიპტელების პირველი საიუველირო ნაკეთობები ოქროსაგან იყო დამზადებული. ძველი ეგვიპტის იუველირები ყველაზე ხშირად იყენებდნენ *მალაქიტს, ლაზურიტს, იასპსა და ფირუზს* – ნატურალურ ძვირფას და ნახევრად-ძვირფას ქვებს. ძველი ეგვიპტელების ყვე-ლაზე დახვეწილ სამკაულებად ითვლება **პექტორალები** – სამკერდე სამშვენისები.

შუმერების საიუველირო ხელოვნება

სამკაული ფოთლის ფორმის ორნამენტებით

დიდი ყურადღება ეთმობოდა სამკაულის ფერთა გამას, რადგან მას, ისევე, როგორც ნახჭებს, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ფერები და მათი სიმბოლური აღნიშვნები ძველ ეგვიპტელებთან: *შავი – მიწის ფერი და სიცოცხლის სიმბოლო; მწვანე – პაპირუსის ფერი და მარადიული ახალგაზრდობის სიმბოლო; წითელი – უნაყოფობის სიმბოლო, უდაბნოს ფერი.*

ძველი ეგვიპტის საიუველირო ხელოვნება

1

2

3

1. სამაჯური (ფრაგმენტი)
2. პექტორალი. ფარაონ ტუტანხამონის საკიდარი
3. საყურეები

სკვითებისა და ძველი ბერძნების საიუველირო ხელოვნება

1. ოქროს სკვითური პექტორალი. 2. ბალთა ჰერაკლეს თავის გამოსახულებით. 3. სკვითური სავარცხელი საბრძოლო სცენით. 4. გულსაბნევი-ფიბულა. 5. ოქროს სამაჯური

აზერბაიჯანის საიუველირო ხელოვნება თავისებურებებით გამოირჩევა და ძველი ტრადიციები აქვს. ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი საიუველირო ნაკეთობები აზერბაიჯანელ იუველირთა დიდ ოსტატობას ცხადყოფს. სამკაულებს, როგორც წესი, უშუალო და ორგანული კავშირი ჰქონდა ქალის კოსტიუმის კომპლექტთან. ისინი სრულყოფდნენ კოსტიუმს, მასთან ერთად ქმნიდნენ ერთიან ანსამბლს და ანიჭებდნენ სამოსს ეროვნულ კოლორიტს, მხატვრულ სისრულეს.

ძველად, აზერბაიჯანში, საყოფაცხოვრებო ნივთები და მეტალის სამკაულები, ძირითადად, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით იქმნებოდა.

საიუველირო ნაკეთობებზე დეკორის დატანის ტექნიკა

- გარასავადი (სევადი)
- თეგვა
- მომინანქრება
- ინკრუსტაცია
- ტვიფრვა (ბასმა)
- ფილიგრანი (შებეკე)

გაეცანი

გარასავადი (სევადი)
ძირითადად, ვერცხლის ზედაპირზე მუშაობისას გამოიყენებოდა. ვერცხლის გლუვ ზედაპირზე ნახატი კაწრვით დაჰქონდათ, შემდეგ კი ყველაფერს სევადით ფარავდნენ.

გარასავადი (სევადი)

თეგვა
სასურველი ფორმის მისაღებად, გახურებული მასალის მექანიკური დამუშავება სპეციალური ჩაქუჩებით.


თეგვა

მომინანქრება
გრავირებული ნახატის, ან ნახჭის თხევადი მინანქრით ამოვსება. აზერბაიჯანში მომინანქრებისას ყველაზე ხშირად გამოყენებული ფერებია: ბაცი ვარდისფერი, მწვანე, ლურჯი, ფირუზისფერი, შავი და წითელი.

მომინანქრება

ინკრუსტაცია (ჰატემკარლიგი)
ზედაპირის დეკორირება სხვადასხვა ფერის, ფაქტურისა და ტექსტურის მასალით. საიუველირო საქმეში ორი სახის ინკრუსტაციას განიხილავენ: ინკრუსტაცია ქვებით (ასევე კრისტალებით) და ინკრუსტაცია მეტალით. მეტალით ინკრუსტაციის დროს მეტალს არა მხოლოდ სვამენ, არამედ რჩილავენ კიდეც.

ინკრუსტაცია

ტვიფრვა (ბასმა)
ხელით ტვიფრვა თხელ ფურცლოვან მეტალზე, ანუ ზედაპირზე დაჭერით რელიეფური გამოსახულების დატანის ტექნიკა.

ტვიფრვა (ბასმა)

ფილიგრანი
საიუველირო ტექნიკა, რომელიც აჟურულ, ან დარჩილულ (ოქროსა და ვერცხლის წვრილი მავთულით, მეტალის ფონზე) ნახჭს ან გამოსახულებას იყენებს.


ფილიგრანი (შებეკე)

ძველი დროის საიუველირო ნაკეთობები ხელოვნების შედევრებია და ძველ იუველირთა დიდ ოსტატობას ადასტურებს.

ძველი აზერბაიჯანის საიუველირო ნაკეთობები

ბუნების რა ფორმებია გამოყენებული საიუველირო ნაკეთობებში? ისაუბრე სამკაულების დამზადების ტექნიკაზე.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, გელის კალმები).

1. დახატე ნებისმიერი საიუველირო ნაკეთობის ესკიზი. დაფიქრდი, როგორი ნახჭი, ქვა, ფორმა დაამშვენებს შენს ნაკეთობას.
2. ფერადი ქაღალდით, აპლიკაციის ტექნიკით, დაამზადე სამაჯური, ბალთა ან პექტორალი. ეცადე, „ნაკეთობის“ ზედაპირზე ფლომასტერით გამოსახო ეროვნული სტილის ნახჭების კომპოზიცია.

შეამოწმე შენი თავი

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეა ... . საიუველირო ხელოვ-ნებში გამოიყენება დამზადების სხვადასხვა ტექნიკა: ..., ..., ..., .

საკვანძო სიტყვები

საიუველირო ხელოვნება
გარასავადი
ინკრუსტაცია
მომინანქრება

შეამოწმე ნასწავლი

1. ბუნების რომელი მოტივები მოგეწონა ძველი ქვეყნების ნაკეთობებში განსაკუთრებულად და რატომ?
2. ხალხური წარმოდგენით, რატომ ითვლებოდა, რომ სამკაულები ხაზს უსვამდა ქალის სილამაზეს?

25. მსოფლიო სახვითი ხელოვნების საგანძური

დიალოგი ხელოვნებაზე

- სად ინახება ხელოვნების ნიმუშების უდიდესი კოლექციები, რომლებიც მსოფლიო ხელოვნების გაცნობაში გვეხმარება?

მუზეუმების შექმნას წინ კოლექციონერობა უძღოდა. პირველ კოლექციებად ითვლება ძველი საბერძნეთის ტაძრებში დაგროვილი საბოძვარი და დაკრძალვის კულტის ნივთები ძველეგვიპტურ პირამიდებში.

კოლექცია ეგვიპტურ პირამიდაში

გაიხსენე. სიტყვა „მუზეუმი“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს „მუზების ტაძარს“ ანუ მუსეიონს. მუზები ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მფარველი ქალღმერთები არიან.

ერთ-ერთი პირველი მუზეუმი იყო ალექსანდრიის ცნობილი მუსეიონი. იგი წარმოადგენდა ძველი სამყაროს წიგნების უდიდეს კოლექციას – როგორც თავად წიგნების, ისე ათასობით მათი ასლის (არისტოტელეს ბიბლიოთეკა, ძველი ბერძენი დრამატურგების – სქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს და სხვ. – ტრაგედიების ტექსტები). არაბების მიერ ალექსანდრიის დაპყრობისას ბიბლიოთეკა განადგურდა, მაგრამ, ასლების წყალობით, ჩვენამდე მოაღწია ძველბერძნული ლიტერატუ-რის დიდმა ნაწილმა.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ინტერიერი



ალექსანდრიის ბიბლიოთეკის თანამედროვე შენობა. საერთო ხედი

სამხატვრო მუზეუმების პირველსახედ ასევე შეიძლება ჩაითვალოს რომაულ თერმებში (აბანოებში), გალერეებში, ტაძრებში არსებული ხელოვნების ნიმუშების კოლექციები. დღეს ძველ თერმებში განთავსებულია რომის ეროვნული მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილია ანტიკური ქანდაკების ერთ-ერთი უდიდესი კოლექცია.

რომის ეროვნული მუზეუმის კოლექცია

1190 წელს მდინარე სენის სანაპიროზე მეფე ფილიპე II ოგიუსტის სუვილით აღიმართა ციხესიმაგრე, რომელსაც **ლუვრი** ეწოდა. თავდაპირველად, სიმაგრე ხაზინის, არქივებისა და არსენალის შესანახად გამოიყენებოდა. მოგვიანებით, ლუვრის გადაკეთება და მოდერნიზება მოხდა და მასში სამხატვრო გალერეა განთავსდა.

დღეს ლუვრში, დაახლოებით, 400 ათასი ექსპონატია: სურათები, ქან-დაკებები, კერამიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, საიუველირო ნაკეთობები.

ლუვრის კოლექცია ძველი კულტურების ჩასახვის დროინდელ ექსპო-

ნატებსაც მოიცავს. აქ შეიძლება ნახოთ ასურული სასახლეების ბარელიეფები, ეგვიპტური ფერწერა და ბევრი სხვა რამ.

ლუვრის ინტერიერი

ლუვრის კოლექციები

ძველი აღმოსავლეთი. ლუვრის ოცდაოთხ დარბაზში, რომლებიც კვადრატული ეზოს გარშემოა განთავსებული, მესოპოტამიური (შუამდინარული), ირანული, სირიული, ასურული ხელოვნების ნიმუშებია თავმოყრილი.



1. ასურული ფრთოსანი ხარები. სარგონ II-ის სასახლე. 2. მჯდომარე გუ-დეას, ლაგაშის უფლისწულის ქანდაკება. 3. ებიხ II, მარის მბრძანებელი, იშთარის ტაძარი

ძველი ეგვიპტე. ძველი ეგვიპტის სექციაში გამოფენილია ექსპონატები, რომლებიც ერთ დროს ძლევამოსილ უძველეს კულტურას განეკუთვნება. მასში, დაახლოებით, 5000 ნიმუშია წარმოდგენილი.

1. გადამწერის ქანდაკება. საკარა, გაფერადებული კირქვა
2. ფარაონი ამენემხეტ III. ასპიდის ფიქალის ქანდაკება
3. ტუიას ქანდაკება. წითელი აფრიკული ებონიტი

ძველი საბერძნეთი, რომი. მუზეუმის ამ სექციაში გამოფენილი ნიმუშები ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციებს ეკუთვნის. ისინი იმ ადამიანთა მხატვრული გამომსახველობის ილუსტრაციაა, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ცხოვრობდნენ ჩვ. წ. აღ-მდე IV ათას-წლეულიდან ჩვ. წ. ა. VII საუკუნემდე. აქ წარმოდგენილია, როგორც ორიგინალები, ასევე ბერძნული ქანდაკებების ზუსტი ასლები, რომლებიც რომის ხანაში დამზადდა.

1. ქალღმერთ აფროდიტეს, „ვენერა მილოსელის“ ქანდაკება
2. ნიკე სამოთრაკიელი (გამარჯვების ქალღმერთი)
3. კორინთული კრატერი შავი ფიგურებით

რომაული კოლექცია უმთავრესად ქანდაკების, მოზაიკის, ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებისაგან შედგება.

1. გორდიანე III. მარმარილო
2. ოქროს საკიდარი

არის ექსპონატები, რომელთა ნახვასაც მუზეუმის ყველა სტუმარი ესწრაფვის. ეს ექსპონატები მთელ მსოფლიოშია ცნობილი და მართლაც ფასდაუდებელია.



უამრავ ფერწერულ ტილოს შორის, ლუვრის მარგალიტად, რა თქმა უნდა, ლეონარდო და ვინჩის მიერ შექმნილი მონა ლიზას პორტრეტი, ჯოკონდა ითვლება. 1804 წელს სურათი ნაპოლეონის მუზეუმის დიდ გალერეაში გამოიფინა და მას შემდეგ ლუვრის მუდმივი ექსპონატია.



ლეონარდო და ვინჩი. „მონა ლიზა“ („ჯოკონდა“). სურათის დამცავი მინის სარკოფაგი

ლუვრი არა მხოლოდ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მუზეუმია, არამედ არქიტექტურის ძეგლიც, ფრანგ მეფეთა სასახლე. ლუვრის ისტორიული მნიშვნელობა პარიზისა და მთელი მსოფლიოსათვის ცხადია. პარიზელები ლუვრს ფრანგული კულტურის სიმბოლოდ თვლიან.

გამოიყენე ნასწავლი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის.

1. დაასახელე ხელოვნების ნიმუშები, რომლებსაც მე-6 კლასში გაეცანი და რომლებიც ლუვრშია განთავსებული.
2. გაიხსენე, რა ცოდნა შეიძინე ერთი წლის მანძილზე, გამოიყენე იგი ხელოვნების ნიმუშების თვალიერებისას.
3. გაეცანი ლუვრის ვირტუალურ მუზეუმს.

http://www.louvre.fr/
http://louvre.historic.ru/

შეამოწმე შენი თავი

მუზეუმების გაჩენას წინ უსწრებდა სახვითი ხელოვნების ნიმუშების ... . ლუვრის კოლექცია მოიცავს 400 ათას ... . ფრანგული კულტურის სიმბოლოდ ითვლება.

საკვანძო სიტყვები

კოლექცია
ექსპონატი
ლუვრი

შეამოწმე ნასწავლი

1. შენთვის ცნობილი რომელი ქვეყნების ექსპონატებს მოიცავს ლუვრის კოლექცია?
2. ვინ ქმნიდა მუზეუმებს? რა არის მუზეუმების არსებობის აზრი?

TƏSVİRİ İNCƏSƏNƏT – 6
Ümumtəhsil məktəblərinin 6-cı sinfi üçün
Təsviri incəsənət fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	**Kəmalə Əhməd qızı Cəfərzadə**
	Yeganə Qələndar qızı Cəlilova
	Məhsəti İsa qızı Məmmədova
	Taleh Musa oğlu Məlikov
Tərcüməçi	**N.Vaşakidze**
Redaktoru	**L.Bakradze**
Bədii redaktor	**T.Məlikov**
Texniki redaktor	**Z.İsayev**
Dizayner	**N.Quruli**
Rəssamlar	**M.Hüseynov, E.Məmmədov**
Korrektor	**N.Kusraşvili**

Dərsliyin gürcü dilində nəşri "Deogene" nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi: 2017-062

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 4,8. Fiziki çap vərəqi 6. Səhifə sayı 96.
Kağız formatı $70\times100^{1}/_{16}$. Ofset kağızı. Məktəb qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017

"Bakı" nəşriyyatı
Bakı, AZ1001, H.Seyidbəyli küç. 30

Pulsuz

Əziz məktəbli !

Bu dərslik sənə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir. O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sənə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, sən də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsan ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşın ondan sənin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sənə təhsildə uğurlar arzulayırıq!